პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
შაბათი, 23 ივნისი, 1945 წ. № 123 (7338) ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ, 22 ივნისს, საღამოს 7 საათზე, კრემლში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს XII სესია.

მხურვალე სალამი სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს XII სესიის მონაწილეებს!

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა

დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვების აღსანიშნავად 1945 წლის 24 ივნისს მოსკოვში წითელ მოედანზე ვნიშნავ მოქმედი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და მოსკოვის გარნიზონის ჯარების პარადს,—**გამარჯვების პარადს.**

პარადზე გამოყვანილ იქნან: ფრონტების ნაკრები პოლკები, თავდაცვის სახალხო კომისარიატის ნაკრები პოლკი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაკრები პოლკი, სამხედრო აკადემიები, სამხედრო სასწავლებლები და მოსკოვის გარნიზონის ჯარები.

გამარჯვების პარადი მიიღოს ჩემმა მოადგილემ საბჭოთა კავშირის მარშალმა **ჟუკოვმა.**

გამარჯვების პარადს სარდლობდეს საბჭოთა კავშირის მარშალი **როკოსოვსკი.**

პარადის ორგანიზაციის საერთო ხელმძღვანელობას ვავალებ მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს და ქალაქ **მოსკოვის** გარნიზონის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ **არტემიევს.**

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 22 ივნისი. № 370.

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს XII სესია

საინფორმაციო ცნობა
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1945 წლის 22 ივნისის სხდომის შესახებ

გუშინ, 22 ივნისს, საღამოს 7 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლში, გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს XII სესია.

ლოჟებში სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ **ი. ბ. სტალინის,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა და სსრ კავშირის მთავრობის წევრების გამოჩენას დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით ხვდებიან.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან: კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. ა. ანდრეევი,** ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ნ. მ. შვერნიკი** და მათი მოადგილეები ამხ. **ტ. დ. ლისენკო, უ. იუსუპოვი, ჩ. ა. ასლანოვა, მ. ვ. კულაგინი.**

სესიის თავმჯდომარე ამხ. **ა. ა. ანდრეევი** აქვეყნებს ცნობას, რომ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს XII სესიის განსახილველად შეაქვს პროექტი კანონისა „მოქმედი არმიის პირადი შემადგენლობის უფროსი ასაკების დემობილიზაციის შესახებ“.

დეპუტატ **პ. ი. სელეზნევის** წინადადებით სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ეს საკითხი ერთხმად შეაქვს სესიის დღის წესრიგში.

კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო დეპუტატ **ი. ფ. ზიმენკოვის** წინადადებით პალატების მიხედვით ხმის ცალცალკე მიცემით იღებენ „მოქმედი არმიის პირადი შემადგენლობის უფროსი ასაკების დემობილიზაციის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვის შემდეგ წესს: მოხსენება მოქმედი არმიის პირადი შემადგენლობის უფროსი ასაკების დემობილიზაციის შესახებ მოსმენილ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე. კამათი მოხსენების გამო და კანონის მიღება მოხდეს აგრეთვე კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე.

მოხსენებით „მოქმედი არმიის პირადი შემადგენლობის უფროსი ასაკების დემობილიზაციის შესახებ“ გამოვიდა წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსი არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი.

ამხ. ა. ი. ანტონოვის მოხსენების დამთავრების შემდეგ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა იხურება.

ი. ბ. სტალინმა მიიღო ბ-ნი ბ. ბერუტი და ბ-ნი ედ. ოსუბკა-მორავსკი

21 ივნისს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო „კრაიოვა რადა ნაროდოვას“ პრეზიდენტი ბ-ნი ბ. ბერუტი და პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ედ. ოსუბკა-მორავსკი.

მიღებას დაესწრნენ პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბ-ნი ვ. გომულკა, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ვ. რჟიმოვსკი, ბ-ნი ს. შვალბე და პოლონეთის ელჩი ბ-ნი ზ. მოძელევსკი.

საუბარში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მ. მოლოტოვმა.

ბერლინიდან მოსკოვში ჩამოიტანეს გამარჯვების დროშა
(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

21 ივნისს, მოსკოვის ცენტრალურ აეროდრომზე დაეშვა თვითმფრინავი „დუგლასი“, რომელიც მოჰყავდა ერთ-ერთ საუკეთესო მფრინავს კაპიტან ეელკინს. „დუგლასიდან“ გადმოვიდნენ კაპიტანი ნესტროევი, კაპიტანი სემიონოვი, უფროსი სერჟანტი სიანოვი, უმცროსი სერჟანტი მელიტონ ვარლამის-ძე ქანთარია და სერჟანტი ეგოროვი.

კაპიტანი ნესტროევი და კაპიტანი სემიონოვი მეთაურობდნენ იმ ბატალიონს, რომელიც პირველი შეიჭრა რაიხსტაგში. ამ ბატალიონში შედიოდა სიანოვის ასეული, რომელმაც რაიხსტაგის შენობაში გააჩაღა ბრძოლა და ხელი შეუწყო ქანთარიას და ეგოროვს აღემართათ დროშა რაიხსტაგის შენობაზე. დღეს ეს დროშა ჩამოტანილია მოსკოვში.

მელიტონ ვარლამის-ძე ქანთარია წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარის მკვიდრია. თქვენს კორესპონდენტთან საუბარში მან განაცხადა:

— მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ და ვამაყობ, რომ წილად მხვდა ჩემს მებრძოლ მეგობრებთან ერთად ბერლინიდან ჩამომეტანა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში გამარჯვების დიდებით მოსილი დროშა. ეს დროშა აფრიალდა რაიხსტაგზე 30 აპრილს და იქცა ძლიერების სიმბოლოდ ჩვენი სამშობლოსი, ჩვენი გმირი წითელი არმიისა, რომელიც გამარჯვებამდე მიიყვანა ჩვენმა დიდმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა.**

გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით ვუთვლი მხურვალე სალამს ჩემს თანამემამულეებს, ჩემს მამას ვარლამს, დედა ლიდას და საყვარელ დებს. მოუთმენლად ველი იმ წუთს, როდესაც შემეძლება გადავეხვიო ყველას.

გამარჯვების დროშა მიიღო ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა პოლკოვნიკმა გრეჩენიჩკოვმა.

სსრ კავშირის I მოწვევის უმაღლესი საბჭოს XII სესია

წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის არმიის გენერალ ა. ი. ანტონოვის მოხსენება
მოქმედი არმიის პირადი შემადგენლობის უფროსი ასაკების დემობილიზაციის შესახებ

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი გერმანელ იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც ვერაგულად დაესხნენ თავს საბჭოთა კავშირს, ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა. (ხანგრძლივი ტაში). საბჭოთა ხალხმა და მისმა წითელმა არმიამ, ძლიერი და ცბიერი მტრის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დაიცვეს თავიანთი სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ჰიტლერული გერმანია — ევროპაში აგრესიის მთავარი კერა—მთლიანად განადგურებულია. მისი შეიარაღებული ძალები შემუსრულია წითელი არმიისა და ჩვენი მოკავშირეების არმიების მიერ. ჰიტლერელთა არმიები განადგურებული ან დატყვევებულია, ხოლო მათი საბრძოლო ტექნიკა გადაქცეულია ნამსხვრევების გროვად ან დაგვრჩა ჩვენ და ჩვენი მოკავშირეების არმიებს ნადავლის სახით. წითელი არმიისა და ჩვენი მოკავშირეთა არმიების გადამწყვეტი შეტევითი ოპერაციების შედეგად მტრის მთელი ტერიტორია დაკავებულია. გერმანიამ დაჰკარგა მთელი თავისი სამხედრო მრეწველობა, საწვავისა და სტრატეგიული ნედლეულის წყაროები. გერმანიის სახელმწიფო და სამხედრო მმართველობის აპარატი დანგრეულია. გერმანული სამხედრო მანქანა საბოლოოდ დამსხვრეულია. გერმანია, რომელმაც დაჰკარგა წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა, იძულებული გახდა უსიტყვო კაპიტულაცია მოეხდინა.

ამა წლის 9 მაისს, გამარჯვების ისტორიულ დღეს, ამხანაგმა სტალინმა თავის მიმართვაში ხალხისადმი სთქვა:

„დიდ მსხვერპლს, რაც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გავიღეთ, აურაცხელ გაჭირვებასა და ტანჯვას, რაც ჩვენმა ხალხმა ომის მსვლელობაში გადაიტანა, დაძაბულ შრომას ზურგში და ფრონტზე, რაც სამშობლოს საკურთხეველზე მივიტანეთ, — ამაოდ არ ჩაუვლია და მტერზე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. სლავი ხალხების საუკუნეობრივი ბრძოლა თავიანთი არსებობისა და თავიანთი დამოუკიდებლობისათვის დამთავრდა გერმანელ დამპყრობლებსა და გერმანულ ტირანიაზე გამარჯვებით.

ამიერიდან ევროპაში იფრიალებს ხალხთა თავისუფლებისა და ხალხთა შორის მშვიდობიანობის დიადი დროშა“.

ყველასათვის ცნობილია, რომ გერმანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი სიმძიმე მხრებზე დააწვა ჩვენს სამშობლოსა და წითელ არმიას, და ეს ხდის ჩვენს გამარჯვებას განსაკუთრებით დიადს.

დიდი სამამულო ომის მთელ მანძილზე საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტი ბრძოლის გადამწყვეტი ფრონტი იყო. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანიის სარდლობას ჰყავდა თავისი მთავარი ძალები, თავმოყრილი ჰქონდა თავისი საბრძოლო ტექნიკის მეტი და საუკეთესო ნაწილი. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე განადგურებულ იქნა გერმანიის არმიის ძირითადი კადრები, მოსპობილ იქნა მტრის ტექნიკის ძირითადი მასა.

ჩვენი სახელმწიფოს და წითელი არმიის დიდი დამსახურება, როგორც მთავარი ფაქტორისა გერმანიის იმპერიალიზმის განადგურების საქმეში, ბრწყინვალე ფურცლად შევა ფაშისტური ჩაგვრისაგან დამონებული ევროპის განთავისუფლებისათვის ბრძოლის მსოფლიო ისტორიაში.

რა არის ჩვენი ისტორიული გამარჯვებების მიზეზები? მათ საფუძვლად უდევს: ჩვენი სოციალისტური წყობილების უძლეველი ძალა, ჩვენი ხალხის პატრიოტიზმი და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, წითელი არმიის ურყევი ძლიერება, ჩვენი ბოლშევიკური პარტიის დიადი აღმაფრთოვანებელი და მაორგანიზებელი ძალა, ამხანაგ სტალინის გენიალური სახელმწიფოებრივი და სამხედრო ხელმძღვანელობა. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).

ომის ფრონტი, რომელზეც ბრძოლებს ეწეოდა წითელი არმია, გადაშლილი იყო ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანედან შავ ზღვამდე და კავკასიონის ქედს აღწევდა.

ამ პირობებში, საბჭოთა ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის, საძულველი მტრის განადგურების მიზნით, ჩვენი სახელმწიფო იძულებული იყო მოეხდინა ადამიანთა და მატერიალური დიდი რესურსების მობილიზაცია იმისათვის, რომ წითელი არმია გაეშალა მძლავრ ძალად. ომის დასასრულისათვის წითელ არმიას თავის შემადგენლობაში ოთხჯერ მეტი დივიზიები ჰყავდა, ვიდრე მშვიდობიან დროს. (ტაში).

მაგრამ თანამედროვე ომში გამარჯვებისათვის არ კმარა მარტო მრავალრიცხოვანი არმიის ყოლა. გასული ომი იყო მოტორების ომი, მასობრივი და მრავალფეროვანი ტექნიკის ომი. წითელმა არმიამ ძლევამოსილად გადასჭრა მთავრობისა და უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ მის წინაშე დასმული ყველა ამოცანა არა მარტო იმიტომ, რომ იგი დიდი არმიაა, არამედ იმიტომაც, რომ მისი ტექნიკური აღჭურვილობა როგორც რიცხვობრივად, ისე საბრძოლო თვისებებითაც, სავსებით უპასუხებს თანამედროვე ომის მოთხოვნებს.

წითელ არმიას აქვს თანამედროვე, მრავალრიცხოვანი და მძლავრი არტილერია, რომელიც დიდი სამამულო ომის მსვლელობაში გაიზარდა ხუთჯერ და უფრო მეტად მშვიდობიან დროსთან შედარებით.

გერმანელ ფაშისტთა ჯარებს, რომლებიც ვერაგულად დაესხნენ თავს საბჭოთა კავშირს, ტანკების რაოდენობის მხრივ პირველად მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდათ. საჭირო გახდა ჩვენი სატანკო მრეწველობის დაძაბული მუშაობა, რომ მოგვესპო მოწინააღმდეგის ეს უპირატესობა.

ომის მსვლელობაში თანამედროვე ნიმუშების ჩვენი ტანკების რიცხვი თხუთმეტჯერ გაიზარდა მშვიდობიან დროს არსებულ ასეთივე ტანკების რიცხვთან შედარებით. (ტაში). ამან მკვეთრად შესცვალა მდგომარეობა ბრძოლის ველებზე ჩვენს სასარგებლოდ. ამხანაგ სტალინის მიერ დასმული ამოცანა „გავაქარწყლოთ გერმანელთა უპირატესობა ტანკების მხრივ და ამით ძირფესვიანად გავაუმჯობესოთ ჩვენი არმიის მდგომარეობა“, წარმატებით იქნა გადაჭრილი. გარდა ამისა, ჩვენმა სამხედრო მრეწველობამ ომის მსვლელობაში სრულიად ახლად შეჰქმნა მძიმე და მსუბუქი თვითმავალი არტილერია. ომის მეორე ნახევარმა ჩაიარა ბრძოლის ველებზე ჩვენი ტანკებისა და თვითმავალი არტილერიის უპირატესობის ნიშნით. ის საშუალებას გვაძლევდა განგვეხორციელებინა უდიდესი გაქანების ოპერატიული მანევრები, გარს შემოვრტყმოდით მოწინააღმდეგის დიდ დაჯგუფებებს, კვალდაკვალ გვედევნა მისთვის სრულ მოსპობამდე.

ჰაერში ბრძოლის პირობები ომის პირველ პერიოდში აგრეთვე ძნელი იყო ჩვენთვის. მოწინააღმდეგეს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა თვითმფრინავთა რაოდენობის მხრივ. ომის მეორე ნახევარში, ჩვენი საავიაციო მრეწველობის გაძლიერებისა და გაშლის შედეგად, ჩვენ მივაღწიეთ ჰაერში მდგომარეობის გადაჭრით შეცვლას. ჰაერში უპირატესობა მოიპოვა ჩვენმა ავიაციამ, რომელიც ომის დასასრულისათვის ხუთჯერ გაიზარდა ომის დაწყებითს პერიოდთან შედარებით.

ჯარების ტექნიკურ გვარეობათა განვითარებასთან ერთად ძლიერდებოდა და საბრძოლო ტექნიკით იარაღდებოდა არმიის საფუძველი — ქვეითი ჯარი. ომის წლებში ქვეითმა ჯარმა მიიღო დიდძალი ავტომატი, ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები, საზენიტო საშუალებები, მსხვილი ყალიბის ტყვიამფრქვევები, ნაღმსატყორცნები და სხვა სახის იარაღი. ამ ტექნიკურმა აღჭურვილობამ მნიშვნელოვნად გაადიდა ქვეითი ჯარის თავდაცვითი და შეტევითი შესაძლებლობანი და საშუალება მისცა მას წარმატებით გადაეჭრა საბრძოლო ამოცანები ცოცხალი ძალის ნაკლები რაოდენობით.

დიდი განვითარება და ტექნიკური აღჭურვილობა მიიღეს დანარჩენ გვარეობათა ჯარებმაც.

ამხანაგო დეპუტატებო! ასეთი დიდი და ტექნიკურად მძლავრი არმიის შექმნამ ჩვენი სახელმწიფოსაგან მოითხოვა ძალების უდიდესი დაძაბვა. ქვეყანას, რომელმაც სამშობლოს დასაცავად გამოიყვანა მილიონობით შრომისუნარიანი ადამიანი, გამწევი ძალისა და ტრანსპორტის (ავტომანქანები, ტრაქტორები და ცხენები) საგრძნობი ნაწილი, აგრეთვე უნდა უზრუნველეყო ფრონტის ყველა მატერიალური მოთხოვნილება.

ყველაფერი ეს, ბუნებრივია, უდიდეს სიძნელეებს უქმნიდა ჩვენს სახალხო მეურნეობას, სიძნელეებსა და გაჭირვებას უქმნიდა ჩვენს ხალხს.

თავისთავად ცხადია, რომ ომიანობის დროის სიძნელეთა წარმატებით დაძლევა და ისეთი მძლავრი არმიის შექმნა, როგორიც ჩვენი წითელი არმიაა, შეუძლებელი იქნებოდა, ჩვენს ქვეყანას რომ არა ჰქონოდა თანამედროვე ომის მოთხოვნების სავსებით შესაფერისი სამხედრო მეურნეობა და რომ არ ჰყოლოდა ყველა სახის რეზერვები, ურომლისოდაც ახლა არ შეიძლება ომის წარმატებით წარმოება.

1931 წელს, დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ათი წლის წინ, ამხანაგმა სტალინმა სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა პირველ სრულიად-საკავშირო კონფერენციაზე სთქვა:

„ჩვენ 50-100 წლით ჩამორჩით მოწინავე ქვეყნებს. ჩვენ ეს მანძილი ათი წლის განმავლობაში უნდა გავირბინოთ. ან შევასრულებთ ამას, ან გაგვსრესენ“.

ჩვენ ვერ გაგვსრისეს! ჩვენ დავამარცხეთ გერმანია — მრეწველობის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ქვეყანა, რომელმაც ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში მის მიერ დამარცხებული ევროპის მთელი რესურსები გამოიყენა. ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ სტალინურმა ხუთწლედებმა გარდაჰქმნეს ჩვენი ქვეყანა. საბჭოთა კავშირი მძლავრი სახელმწიფო გახდა და ეს მტკიცედ დაადასტურა ომის მსვლელობამ და შედეგებმა. განსაკუთრებით ძნელ პირობებში ჩვენს სოციალისტურ ეკონომიკას უნარი აღმოაჩნდა უზრუნველეყო არმია საჭურვლით, რთული მანქანებითა და მექანიზმებით, სურსათისა და ნედლეულის საკმაო რაოდენობით.

დიდმა საბჭოთა ხალხმა, მუშებმა, კოლმეურნეებმა, ჩვენმა ინტელიგენციამ თავიანთი მამაცური შრომით ყველაფერი გააკეთეს, რათა წითელი არმიისათვის მიეცათ საბრძოლო ტექნიკა და ყველაფერი, რაც საჭიროა გამარჯვებისათვის. წითელი არმია, მისი მებრძოლები, ოფიცრები და გენერლები თავიანთი ხალხის ღირსნი აღმოჩნდნენ, გაამართლეს მისი ნდობა. მათ უნარი აღმოაჩნდათ უაღრესი სისრულით და უნარით გამოეყენებინათ ტექნიკა და რესურსები, რაც მათ ჩვენმა ქვეყანამ გამარჯვებისათვის მისცა.

ამხანაგო დეპუტატებო!

ომი ევროპაში დამთავრდა. საბჭოთა კავშირისათვის მშვიდობიანი განვითარების პერიოდი დაიწყო. ჩვენი შეიარაღებული ძალების წინაშე ახალი ამოცანები დადგა. ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებიც წინანდებურად რჩებიან საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, მშვიდობიანობისა და საყოველთაო უშიშროების შენარჩუნების ფაქტორად, ახალ ვითარებაში უნდა უზრუნველჰყონ სამშობლოსათვის ომით მიყენებული ჭრილობების მშვიდად მოშუშების შესაძლებლობა, ჩვენი ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლების მიზნით მუშაობის მშვიდად განგრძობის შესაძლებლობა. ომის ძლევამოსილად დამთავრებასთან დაკავშირებით, ჩვენ შეგვიძლია ეს ამოცანები ნაკლები ძალებით გადავჭრათ და ჩვენთვის საჭირო არ არის ვიყოლიოთ ისეთი მრავალრიცხოვანი არმია, როგორიც საომარი მოქმედების პერიოდში გვყავდა. ჩვენ შეგვიძლია, და ჩვენი ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ, შევამციროთ წითელი არმიის რაოდენობა და უფროსი ასაკების მეომრები დავუბრუნოთ თავიანთ ოჯახებს, მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

ამის შესაბამისად, სახალხო კომისართა საბჭოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს XII სესიის განსახილველად შემოაქვს მოქმედი არმიის პირადი შემადგენლობის უფროსი ასაკების დემობილიზაციის კანონის პროექტი. პროექტი ითვალისწინებს პირველ რიგში ცამეტი უფროსი ასაკის სამხედრო მოსამსახურეთა დემობილიზაციას.

პირველი რიგის დემობილიზაცია ნავარაუდევია ჩატარდეს 1945 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში. დემობილიზაციის განხორციელებისას რიგითობა საჭიროა დაწესდეს იმისათვის, რომ მთელი დემობილიზაცია ორგანიზებულად და გეგმაზომიერად ჩავატაროთ. რიგითობა საჭიროა აგრეთვე იმისათვის, რომ რკინიგზის ტრანსპორტმა ნორმალურად იმუშაოს და უზრუნველვყოთ დემობილიზებულთა საუკეთესოდ მოწყობა სამუშაოზე.

არმიიდან მილიონობით ადამიანთა დემობილიზაცია დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. სამხედრო სარდლობისაგან იგი მოითხოვს უაღრესად დიდ ორგანიზებულობას, მისი განხორციელების დეტალური გეგმის შემუშავებას და დემობილიზებულთა მატერიალური უზრუნველყოფის დიდ ღონისძიებებს. ამასთან ერთად დემობილიზაცია საბჭოთა და პარტიული ორგანოების წინაშე დიდი მნიშვნელობის პოლიტიკურ და სამეურნეო ამოცანებს აყენებს. ამ ამოცანათაგან უმთავრესია მამობრივი მზრუნველობა წითელი არმიის რიგებიდან დემობილიზებული მამაცი საბჭოთა მეომრებისადმი.

დემობილიზებულთადმი გულისხმიერი, მზრუნველობითი დამოკიდებულება გამომდინარეობს საბჭოთა მთავრობის, როგორც ჭეშმარიტად სახალხო მთავრობის, პოლიტიკის ძირითადი არსიდან.

საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხის ყურადღება თავისი მეომრებისა და მათი ოჯახებისადმი განსაკუთრებული ძალით გამოჩნდა დიდი სამამულო ომის დღეებში.

ამჟამად კიდევ უფრო დიდი ყურადღებისა და მზრუნველობის გამოჩენა საჭიროა მათდამი, ვინც დემობილიზებული იქნება წითელი არმიიდან.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ მსოფლიოში არსებული ყველა ძვირფასი კაპიტალიდან ყველაზე ძვირფასი და ყველაზე გადამწყვეტი კაპიტალია ადამიანები, კადრები.

თქვენს განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი პროექტი კანონისა ნათლად გამოხატავს სტალინურ მზრუნველობას ადამიანებზე.

კანონის პროექტით გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებანი დემობილიზებულთა მატერიალური უზრუნველყოფის დარგში.

კანონი ითვალისწინებს, რომ ყველა დემობილიზებული უზრუნველყოფილი იქნება ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სრული კომპლექტით, აგრეთვე გზაში კვებით საცხოვრებელ ადგილამდე.

მიუხედავად უდიდესი ხარჯებისა, რაც ჩვენმა ქვეყანამ ომის დღეებში გაიღო, მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია ყველა დემობილიზებულს სერიოზული ფულადი დახმარება აღმოუჩინოს. მოქმედი არმიიდან ყველა დემობილიზებულისათვის კანონის პროექტით წესდება ერთდროული ფულადი გასამრჯელო დიდი სამამულო ომის პერიოდში არმიაში სამსახურის თვითეული წლისათვის შემდეგი ოდენობით:

ყველა გვარეობის ჯარისა და სამსახურის რიგითი შემადგენლობისათვის, რომელიც ფულად განაკვეთს

(დასასრული მე-2 გვ.)

სსრ კავშირის I მოწვევის უმაღლესი საბჭოს XII სესია

არმიის გენერალ ა. ი. ანტონოვის მოხსენება

(დასასრული)

იღებს საერთო-საჯარისო ტარიფის მიხედვით — წლიური ხელფასი სამსახურის თვითეული წლისათვის;

სპეციალური ნაწილებისა და ქვედანაყოფების რიგითი შემადგენლობისათვის, რომელიც გადიდებულ ფულად განაკვეთს იღებს, ნახევარი წლის ხელფასი სამსახურის თვითეული წლისათვის;

ყველა გვარეობის ჯარის სერჟანტთა შემადგენლობისათვის — ნახევარი წლის ხელფასი თანამდებობითი განაკვეთების მიხედვით 900 მანეთის ფარგლებში და არანაკლებ 300 მანეთისა სამსახურის თვითეული წლისათვის;

ოფიცერთა შემადგენლობისათვის, რომელსაც დიდი სამამულო ომის პერიოდში ნამსახური აქვს:

ერთი წელიწადი — ორი თვის ხელფასი,
ორი წელიწადი — სამი თვის ხელფასი,
სამი წელიწადი — ოთხი თვის ხელფასი,
ოთხი წელიწადი — ხუთი თვის ხელფასი.

კანონის პროექტი, გარდა ამისა, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო რაიონების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ავალებს მისცენ სამუშაო დემობილიზებულებს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა საცხოვრებელ ადგილზე მათი მისვლის დღიდან.

კანონის პროექტი ითვალისწინებს, რომ დემობილიზებულთათვის სამუშაოს მიცემის დროს მხედველობაში მიიღონ მათ მიერ წითელ არმიაში შეძენილი გამოცდილება და სპეციალობა და მოაწყონ ისინი ისეთ სამუშაოზე, რომელიც იმ სამუშაოზე უფრო დაბალი არ იქნება, რასაც ისინი არმიაში წასვლამდე ასრულებდნენ.

კანონის პროექტით გათვალისწინებულია აგრეთვე დემობილიზებულთა უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართობითა და სათბობით.

სოფელ ადგილებში მშრომელთა დეპუტატების საბჭოები და კოლმეურნეობათა გამგეობები კანონის პროექტის მიხედვით მოვალენი არიან ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ დემობილიზებულთ როგორც სამუშაოზე მოწყობის საქმეში, ისე მეურნეობის მოწყობაში.

ყველამ იცის, თუ რა უდიდესი ზიანი მიაყენეს გერმანელებმა ჩვენს სახალხო მეურნეობას იმ რაიონებში, რომლებიც მათ მიერ დროებით იყო ოკუპირებული. ამიტომ წითელი არმიიდან დემობილიზებულთაგან ბევრს დაზიანებული ან განადგურებული დახვდება თავისი მეურნეობა. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და კოლმეურნეობები კანონის პროექტის მიხედვით მოვალენი არიან დაეხმარონ დემობილიზებულთ თავიანთი მეურნეობის აღდგენაში.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გერმანელთა ოკუპაციისაგან დაზარალებულ რაიონებში ევალებათ უფასოდ მისცენ დემობილიზებულთ, რომელთაც ბინების აგება ან რემონტი ესაჭიროებათ, ტყესაკაფი ფონდი სამშენებლო ხეტყის დასამზადებლად.

კანონის ამავე პროექტის თანახმად კომუნალური და საბინაო მშენებლობის დაფინანსების საკავშირო ბანკი (ცეკომბანკი) მოვალეა გერმანელთა ოკუპაციისაგან დაზარალებულ რაიონებში მისცეს ხელმოკლე დემობილიზებულთ სესხი საცხოვრებელი სახლების ასაგებად და აღსადგენად 5-დან 10 ათას მანეთამდე სესხის გასტუმრების 5-დან 10 წლამდე ვადით.

ასეთია ძირითადი ღონისძიებანი დემობილიზებულთა უზრუნველყოფის დარგში, რომლებსაც ითვალისწინებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ თქვენს დასამტკიცებლად წარმოდგენილი კანონის პროექტი.

მთელი ეს ღონისძიებანი მკაფიოდ მოწმობენ საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის ზრუნვას წითელი არმიის მეომართათვის, რომლებმაც პატიოსნად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე დიდ სამამულო ომში და ამჟამად მშვიდობიან შრომას უბრუნდებიან.

კანონის პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა საჭიროება გასაგებია, ვინაიდან ამჟამად საქმე ეხება ჩვენს მამაც მეომრებს, რომლებიც ოთხი წლის მანძილზე მძიმე, სისხლისმღვრელ ბრძოლას ეწეოდნენ სასტიკ მტერთან, არ ზოგავდნენ ამ ბრძოლაში არც თავიანთ ძალებს, არც თავიანთ სიცოცხლეს, განიცდიდნენ წარმოუდგენელ სიძნელესა და გაჭირვებას, უმაგალითო გმირობას იჩენდნენ და სრული გამარჯვება მოიპოვეს. სამშობლოსადმი თავიანთი დიდი თავდადებით, ფიცისადმი ერთგულებით, უმაგალითო მამაცობით, მხედრული ოსტატობით, თავიანთი სისხლით წითელი არმიის მეომრებმა იხსნეს ჩვენი ხალხი დამონებისა და გაჟლეტისაგან.

ამხანაგო დეპუტატებო! მოქმედი არმიის პირადი შემადგენლობის უფროსი ასაკთა დემობილიზაციის კანონის იმ პროექტის დამტკიცებით, რომელიც სესიის განსახილველად არის წარმოდგენილი, ჩვენი სახელმწიფო დიდ ნაბიჯს გადადგამს მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასვლაში. წითელი არმიის რაოდენობა შემცირდება, მაგრამ წითელი არმია კვლავ იქნება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საიმედო ბურჯი, თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მშვიდობიანობისა და უშიშროების დაცვის მძლავრი იარაღი.

ამჟამად ამოცანა ის არის, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები კვლავაც იმ დონეზე იყვნენ, რომელიც ჩვენს დიად სამშობლოს შეეფერება, რომ მომავალშიც, მშვიდობიანი დროის პირობებში, ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიური ძლიერება—მისი ურყევი თავდაცვისუნარიანობის საფუძველი.

გამარჯვების მოპოვების შემდეგ წითელ არმიას არ შეუძლია განცხრომას მიეცეს. წითელი არმიის გენერლებმა და ოფიცრებმა ღრმად უნდა შეისწავლონ ძლევამოსილი დიდი სამამულო ომის საბრძოლო გამოცდილება, გაიაზრონ იგი და შემდგომ განავითარონ საბჭოთა სამხედრო მეცნიერება. მთელი ჩვენი მუშაობა წითელი არმიის საბრძოლო მომზადების, სამხედრო და პოლიტიკური აღზრდის დარგში უნდა ვაწარმოოთ იმ ახლის გათვალისწინებით, რაც დიდმა სამამულო ომმა მოგვცა.

წითელი არმიიდან დემობილიზაციით მიმავალი ჩვენი მებრძოლი ამხანაგები მაქსიმალურად უნდა დაეხმარონ სამშობლოს დიად შემოქმედებითს მუშაობაში. დარწმუნებული ვართ, რომ ისინი მდგომარეობის სიმაღლეზე აღმოჩნდებიან.

ამხანაგო დეპუტატებო!

გერმანიაზე საბჭოთა კავშირის დიდმა ისტორიულმა გამარჯვებამ შესაძლებლობა მისცა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შემოეტანა თქვენს განსახილველად მოქმედი არმიის პირადი შემადგენლობის პირველი რიგის დემობილიზაციის კანონის პროექტი.

საბჭოთა კავშირის ხალხებს, რომელთაც შეგნებული აქვთ ამ ისტორიული გამარჯვების სიდიადე, თავიანთი თვალი და ფიქრი მიპყრობილი აქვთ ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორისადმი, თავიანთი გენიალური ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინისადმი. (ყველანი ფეხზე დგებიან. ხანგრძლივი ტაში, „ვაშას“ შეძახილები).

ჯერ კიდევ ომამდე დიდი ხნით ადრე ამხანაგმა სტალინმა განჭვრიტა მომავალი ბრძოლების მრისხანე კონტურები და ამზადებდა საბჭოთა ხალხის ძალებს, რათა დაეცვა სამშობლო და ოქტომბრის დიადი მონაპოვარნი უცხოელ დამპყრობთა მიერ ხელყოფისაგან.

ომის ყველაზე ძნელ დღეებში ამხანაგმა სტალინმა იკისრა სამხედრო ხელმძღვანელობის მთელი სიმძიმე. ჩვენი ბრძოლის ყველა უბანზე: სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის დარგში, შეიარაღებული ძალების ორგანიზაციისა და ჩამოყალიბების, რეზერვებისა და მეთაურთა კადრების მომზადების დარგში, არმიის შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკით აღჭურვის დარგში, ზურგის ორგანიზაციის საქმეში, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობის ყველა სხვა დარგში — ყველგან და ყოველთვის ჩვენ ვხედავდით ამხანაგ სტალინის მტკიცე და წარმმართველ ხელს. (მქუხარე ტაში).

ამხანაგმა სტალინმა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმა ჩვენი სახელმწიფოს გიგანტური ძალები და მიიყვანა ჩვენი სამშობლო, საბჭოთა ხალხი დიად ისტორიულ გამარჯვებამდე. (ტაში).

ეს გამარჯვება აძლევს საბჭოთა ხალხს ახალ ძალებს და იმის რწმენას, რომ ჩვენი ქვეყანა სწრაფად აღმოფხვრის ომის შედეგებს, წარმატებით ივლის შემდგომი ეკონომიური და კულტურული ზრდის გზით და წინანდებურადვე დარჩება მშვიდობიანობისა და ხალხთა თავისუფლების ურყევ ბურჯად.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თქვენს განსახილველად და დასამტკიცებლად შემოაქვს მოქმედი არმიის პირადი შემადგენლობის უფროსი ასაკთა დემობილიზაციის კანონის პროექტი. (ტაში).

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ივანე კორნელის-ძე ზიაბკინი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად ახალ ზელანდიაში.

* * *

სსრ კავშირის დესპანად დანიაში დანიშნულია ამხ. ა. ი. პლახინი.

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა პოეტი, ყაზახეთის სახალხო აყინი, სტალინური პრემიის ლაურეატი **ჯამბულ ჯაბაევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს XII სესიის გახსნა

გუშინ, 22 ივნისს, საღამოს 7 საათზე, კრემლის დიდ სასახლეში კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომით გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს XII სესია.

სხდომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე კრემლში შეიკრიბნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და მრავალრიცხოვანი სტუმრები—წითელი არმიის, გამარჯვებული არმიის, მარშლები, გენერლები და ოფიცრები, საბჭოთა მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები, მოსკოვის საწარმოთა წარმომადგენლები.

ახლანდელი სესია პირველი სესიაა, რომელიც მოწვეულია დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ. იგი მიმდინარეობს გამარჯვების სასიხარულო დღეებში, როცა ჩვენი ქვეყანა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას იწყებს. ამ ისტორიული სხდომის დამსწრეთაგან ყველას კარგად ახსოვს მრავალგზის ამბები უკანასკნელი თვეებისა, რომლებმაც დიდი სახელი მოუხვეჭეს საბჭოთა იარაღს. ყველა იმეორებს მშობლიური სტალინის — ჩვენი ხალხის სამხედრო და შრომითი გამარჯვებების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის სახელს.

დიდმა სტალინმა ჩვენი ქვეყანა გამოატარა თავისი მასშტაბით უმაგალითო ახლანდელი ომის ყველა სიძნელესა და განსაცდელში. სტალინური ნებისყოფა, სტალინური გენია წარმართავდნენ მრავალმილიონიან არმიებს, რომლებიც იბრძოდნენ უდიდეს ფრონტზე ყინულოვანი ოკეანიდან შავ ზღვამდე. სტალინური სიტყვა აღაფრთოვანებდა ზურგის მშრომელებს, მოუწოდებდა მათ ახალ-ახალი გმირობისაკენ სამშობლოს სასახელოდ. ომის გმირები და შრომის გმირები, რომლებიც გამარჯვებას სჭედავდნენ ფრონტზე და ზურგში, ბოლშევიკური პარტიის გამოზრდილნი, სტალინის გამოზრდილნი არიან. პარტიამ და სტალინმა ჩაუნერგეს მათ ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი, დიდი მამაცობა შრომასა და ბრძოლაში, ყველა სიძნელის დაძლევის უნარი, გამოაწრთეს მათი ნებისყოფა ბრძოლისათვის.

22 ივნისი... ყოველმა საბჭოთა ადამიანმა დაიმახსოვრა ეს თარიღი. სრული ოთხი წლის წინათ,—1941 წლის 22 ივნისს,—ჩვენმა სოციალისტურმა სახელმწიფომ განიცადა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ვერაგული თავდასხმა; მათ სურდათ გაენადგურებინათ საბჭოთა კავშირი, დაემონებინათ ჩვენი თავისუფლებისმოყვარე ხალხი. გათავხედებულმა ავანტიურისტმა ჰიტლერმა ჩვენს წინააღმდეგ დასძრა მილიონიანი არმიები, მთელი ევროპის ქარხნებში დამზადებული ტექნიკის სრული სიმძლავრე. მისი ავაზაკური ურდოები ემუქრებოდნენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს ყველა ხალხების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ცხოვრებამ დაამხო, გააცამტვერა ჰიტლერელთა ბოდვითი გეგმები მსოფლიო ბატონობისა.

მძიმე განსაცდელის ჟამს, გაისმა, როგორც ყოველთვის, დინჯი და მტკიცე, ხმა სტალინისა, რომელმაც 1941 წლის 3 ივლისს მიმართა ზურგის მშრომელებს, არმიისა და ფლოტის მებრძოლებს.

„ჩვენი ძალები აურაცხელია. თავგასული მტერი იძულებული იქნება მალე დარწმუნდეს ამაში. თავისუფლების მტერთან საომრად წითელ არმიასთან ერთად გამოდიან მრავალი ათასობით მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია. აღსდგებიან ჩვენი ხალხის მილიონიანი მასები...“. ამხანაგმა სტალინმა სთქვა, რომ „ჩვენი ომი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის შეერთვის ევროპისა და ამერიკის ხალხთა ბრძოლას მათი დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათათვის“. დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა საბჭოთა ხალხს მოუწოდა მთელი ძალები მოეხმარებინა გმირი წითელი არმიისა და წითელი ფლოტის მხარდასაჭერად, მტრის განადგურებისათვის.

ჩვენი ხალხის მილიონიანი მასები სტალინის მოწოდებით დაირაზმნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ წმიდათა-წმიდა ომისათვის. გიგანტურ ბრძოლებში, რომლებმაც მტრის განადგურება გამოიწვიეს, გამომჟღავნდა ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მთელი ძალა და ძლიერება. სამამულო ომის დღეებში განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა რუსი ხალხის დიადი როლი, როგორც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალისა ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა ხალხთა შორის, ხალხისა, რომელსაც ახასიათებს ნათელი გონება, მტკიცე ხასიათი და მოთმინება.

ყველას, ვინც გუშინ კრემლის დიდი სასახლის ისტორიულ დარბაზში იმყოფებოდა, აგონდებოდა ჩვენი დიადი ბრძოლისა და გამარჯვებათა ეტაპები. დიდი ბრძოლა მოსკოვთან, სტალინგრადის გმირული ეპოპეა, დაუვიწყარი ბრძოლები ლენინგრადთან, უკრაინის ველებში, ბელორუსიის ტყეებში, საბჭოთა მიწა-წყლის ფარგლებს გარეთ. ჩვენმა არმიამ, ჩვენმა ხალხმა წმიდად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. გასწმინდეს რა მშობლიური მიწა-წყალი ჰიტლერული სიბილწისაგან, ჩვენმა მეომრებმა გადალახეს სახელმწიფო საზღვარი და ომი მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადაიტანეს. ჩვენი გამარჯვების დროშა აფრიალდა ბერლინში!

ახლა გამარჯვებული საბჭოთა ხალხი დაძაბულ შემოქმედებითს შრომას ეწევა. საბჭოთა ადამიანები ისწრაფვიან რაც შეიძლება მალე მოიშუშონ ომის ჭრილობები, ფერფლიდან და ნანგრევიდან აღადგინონ მტრის მიერ დანგრეული ქალაქები და სოფლები, განთავისუფლებულ მიწა-წყალზე ახალ-ახალი პირველხარისხოვანი ფაბრიკა-ქარხნები ააგონ, ახალ-ახალი ფოლადის ლიანდაგები გაიყვანონ, კიდევ უფრო სასიხარულო და ბედნიერი გახადონ საბჭოთა ადამიანების ცხოვრება.

საღამოს შვიდი საათია. თავმჯდომარის მაგიდას უსხდებიან—კავშირის საბჭოს თავმჯდომარე **ა. ა. ანდრეევი**, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. მ. შვერნიკი**, კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ტ. დ. ლისენკო** და **უ. იუსუპოვი**, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ჩ. ა. ახლანოვა** და **მ. ვ. კულაგინი.** ლოჟებში გამოჩნდნენ ამხანაგი **სტალინი**, ამხანაგები **მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, ჟდანოვი, ხრუშჩოვი, ბერია, მალენკოვი, ვოზნესენსკი, ჟუკოვი, ბულგანინი,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სახალხო კომისრები.

მთელი დარბაზი ერთიანი აღტყინებით დგება ფეხზე და მქუხარე ოვაციით მიესალმება ამხანაგ სტალინს, პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელებს. ამ აღფრთოვანებული ოვაციით, რაც რამდენიმე წუთს გაგრძელდა, გამოიხატა მშობლიური ბელადის, მასწავლებლისა და მხედართმთავრისადმი სიყვარულისა და მადლობის გრძნობა, რომლითაც გამსჭვალულია ყოველი საბჭოთა ადამიანის გული.

როცა ოვაცია ცხრება, სესიის თავმჯდომარე ა. ა. ანდრეევი გახსნილად აცხადებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს XII სესიის სხდომას. იგი ამბობს, რომ სესიის განსახილველად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შეაქვს ერთი საკითხი—პროექტი კანონისა მოქმედი არმიის პირადი შემადგენლობის უფროსი ასაკთა დემობილიზაციის შესახებ. დეპუტატ **სელეზნევის** წინადადებით სესია ერთხმად ამტკიცებს წარმოდგენილ დღის წესრიგს. შემდეგ თავმჯდომარე სიტყვას აძლევს დეპუტატ **ზიმენკოვს**, რომელსაც წინადადება შეაქვს, რომ მოხსენება მოქმედი არმიის პირადი შემადგენლობის უფროსი ასაკთა დემობილიზაციის შესახებ მოსმენილ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე. კამათი და კანონის მიღება მოხდეს აგრეთვე ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე. სესია ერთხმად ამტკიცებს საკითხის განხილვის წარმოდგენილ წესს.

მოქმედი არმიის პირადი შემადგენლობის უფროსი ასაკთა დემობილიზაციის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსს არმიის გენერალ **ა. ი. ანტონოვს**, რომელსაც დარბაზი ხანგრძლივი ტაშით ეგებება.

ამხ. ანტონოვის მოხსენების შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს XII სესიის პირველი სხდომა იხურება. (საქტაგი).

ნაციონალური ერთიანობის პოლონეთის დროებითი მთავრობის შექმნის საკითხის გამო

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ვ. მ. მოლოტოვს, დიდი ბრიტანეთის ელჩს სერ არჩიბალდ კ. კერსა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ბ-ნ ვ. ა. ჰარიმანს, სამი მოკავშირე სახელმწიფოს ყირიმის კონფერენციამ რწმუნება მისცა მოთათბირებოდნენ პოლონეთის დროებითი მთავრობის წევრებს და პოლონეთში და საზღვარგარეთ მყოფ სხვა დემოკრატ მოღვაწეებს უფრო ფართო დემოკრატიულ ბაზაზე პოლონეთის დროებითი მთავრობის რეორგანიზაციის შესახებ თვით პოლონეთიდან დემოკრატ მოღვაწეთა და საზღვარგარეთიდან პოლონელთა შეყვანით და პოლონეთის ნაციონალური ერთიანობის დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ.

17-21 ივნისის განმავლობაში პოლონეთის დროებითი მთავრობის მოსკოვს ჩამოსულ წევრთა და პოლონეთის და საზღვარგარეთის სხვა დემოკრატ მოღვაწეთა შორის მთელი რიგი თათბირები შედგა პოლონეთის დროებითი მთავრობის რეორგანიზაციისა და ნაციონალური ერთიანობის პოლონეთის დროებითი მთავრობის შექმნის თაობაზე. პოლონეთის დროებითი მთავრობის წევრთა და ხსენებულ დემოკრატ მოღვაწეთა შორის ამ თათბირების შედეგად სავსებით მიღწეულ იქნა შეთანხმება ზემოხსენებულ საფუძველზე ნაციონალური ერთიანობის პოლონეთის დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ. პოლონეთის საკითხის კომისიისათვის წარდგენილ ამ შეთანხმების ტექსტში ნათქვამია შემდეგი:

„პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წარმომადგენლები პრეზიდენტ ბ-ნ ბოლესლავ ბერუტის, პრეზიდენტის მოადგილის, ბ-ნ ვლადისლავ კოვალსკის, პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ედვარდ ოსუბკა-მორავსკის და პრემიერ-მინისტრის მოადგილის, ბ-ნ ვლადისლავ გომულკას სახით;

დემოკრატი მოღვაწეები პოლონეთიდან ბ-ნ დოქტორ ვლადისლავ კირნიკის (რომელიც ჩამოვიდა ავადმყოფ ბ-ნ ვინცენტ ვიტოსის ნაცვლად), ბ-ნ დოქტორ ჰენრიკ კოლოძეისკის, ბ-ნ პროფესორ დოქტორ ადამ კრჟიჟანოვსკის, ბ-ნ პროფესორ სტანისლავ კუტშებას და ბ-ნ ზიგმუნდ ჟულავსკის სახით;

პოლონელი დემოკრატი მოღვაწეები საზღვარგარეთიდან ბ-ნ სტანისლავ მიკოლაიჩიკის, ბ-ნ ანტონ კოლოძეის (რომელიც ჩამოვიდა ინჟ. ქაკოვსკის ნაცვლად) და ბ-ნ იან სტანჩიკის სახით, — ჩამოვიდნენ მოსკოვს ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილების მიხედვით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ბ-ნ მოლოტოვის, დიდი ბრიტანეთის ელჩ ბ-ნ კერის და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ ბ-ნ ჰარიმანის შემადგენლობით შექმნილი კომისიის მოწვევით.

პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის ზემოთჩამოთვლილმა წარმომადგენლებმა და დემოკრატმა მოღვაწეებმა თვით პოლონეთიდან და საზღვარგარეთიდან, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ პოლონეთის სახელმწიფოს ნაციონალური ღირსება და სუვერენიტეტი მოითხოვს, რათა პოლონეთის საქმეები თვით პოლონელებმა გადასწყვიტონ, სრულ შეთანხმებას მიაღწიეს პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის რეორგანიზაციის საკითხში. ეს შეთანხმება გამოიხატება ერთსულოვნად მიღებული გადაწყვეტილებებით იმის შესახებ, რომ:

a) „კრაიოვა რადა ნაროდოვას“ პრეზიდიუმის შემადგენლობაში მიწვეულ იქნას ბ-ნი ვინცენტ ვიტოსი თვით პოლონეთიდან და ბ-ნი სტანისლავ გრაბსკი საზღვარგარეთიდან;

b) ნაციონალური ერთიანობის დროებითი მთავრობის შემადგენლობაში შეყვანილ იქნან ბ-ნი ვლადისლავ კირნიკი და ბ-ნი ჩესლავ ვიცეხი თვით პოლონეთიდან და ბ-ნი სტანისლავ მიკოლაიჩიკი, ბ-ნი იან სტანჩიკი და ბ-ნი მეჩისლავ ტუგუტი საზღვარგარეთიდან;

c) ნაციონალური ერთიანობის დროებითი მთავრობის სრული შემადგენლობა გამოქვეყნებულ იქნება უახლოეს დღეებში ვარშავაში.

ამავე დროს გადაწყდა სახელმწიფო მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიონ მთელი რიგი პოლონელი დემოკრატი მოღვაწეები, რომლებიც დღემდე საზღვარგარეთ იმყოფებიან, ხოლო მათ შორის „სტრონიცტვო პრაცის“ (შრომის პარტია) თავმჯდომარე ბ-ნი პოპელი და ბ-ნი კოლოძეი და ბ-ნი ქაკოვსკი.

პრეზიდენტმა ბ-ნმა ბერუტმა დაივალა შეატყობინოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებანი კომისიას ბ-ნ მოლოტოვის, ბ-ნ კერისა და ბ-ნ ჰარიმანის სახით“.

ვ. მ. მოლოტოვმა, ბ-ნმა ვ. ა. ჰარიმანმა და სერ არჩიბალდ კ. კერმა, რომლებიც მოქმედებენ ყირიმის კონფერენციის რწმუნებით, როგორც კომისია პოლონეთის საკითხზე, კმაყოფილებით აღნიშნეს პოლონეთის დროებით მთავრობასა და პოლონეთისა და საზღვარგარეთის სხვა დემოკრატ მოღვაწეთა შორის მიღწეული შეთანხმება ნაციონალური ერთიანობის პოლონეთის დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ.

ა. წულუკიძის გარდაცვალების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

21 ივნისს შედგა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი გამოჩენილი რევოლუციონერ-ბოლშევიკის ა. გ. წულუკიძის გარდაცვალების 40 წლისთავისადმი.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. პ. ა. შარიამ.

ამხ. შარიამ მკაფიოდ დაახასიათა ცხოვრება და მოღვაწეობა გამოჩენილი რევოლუციონერის, პროპაგანდისტისა და პუბლიცისტის, საქართველოსა და ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნის საქმეში ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ა. გ. წულუკიძისა, რომელმაც მთელი თავისი მშვენიერი სიცოცხლე მუშათა კლასის საქმეს, ლენინ-სტალინის პარტიის საქმეს შესწირა.

ა. წულუკიძემ დიდი თეორიული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. არ არის მარქსიზმის მოძღვრების ისეთი მხარე, რომელსაც თავის შრომებში არ შეხებოდეს ამხ. წულუკიძე.

ა. წულუკიძემ თავის შრომებში დიდი სიღრმით განავითარა მარქსისტული შეხედულებანი კლასობრივ ბრძოლაზე, მუშათა კლასისათვის პოლიტიკური პარტიის აუცილებლობაზე, ნაციონალურ საკითხზე. წულუკიძემ განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოში მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის შექმნაში. მისი სტატიები „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“, „მკითხველის შენიშვნები“ ლიტერატურული კრიტიკის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ.

ა. წულუკიძის ნაწარმოებებს აქვს არა მარტო ისტორიული მნიშვნელობა, არამედ ისინი ცხოველ ინტერესს წარმოადგენენ დღესაც, რამდენადაც მათი უმრავლესობა რევოლუციური მარქსიზმის უაღრესად აქტუალურ საკითხებს ეხება.

თავის ნაწარმოებებში ა. წულუკიძე ეწეოდა მარქსიზმის უკვდავი იდეების ფართო პოპულარიზაციას, ამხილებდა მარქსიზმის ყველა ჯურის ვულგარიზატორებს, ანადგურებდა მენშევიკებს, სოციალ-ფედერალისტებსა და სხვა ანტიმარქსისტულ მიმდინარეობებს.

შესანიშნავ ბროშურაში „ოცნება და სინამდვილე“ წულუკიძემ მთელი სიღრმით გამოაშკარავა უმწეობა ა. ჯორჯაძისა და ნ. ჟორდანიას „საერთო ნიადაგის“ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური თეორიისა, რომლებიც ქადაგებდნენ საქართველოს მუშათა კლასისა და ქართველი ბურჟუაზიის ინტერესთა ერთიანობას.

წულუკიძე ულმობლად აკრიტიკებდა რევიზიონისტებს და, კერძოდ, ბერნშტეინს, აგრეთვე სხვა თეორეტიკოსებს II ინტერნაციონალიდან, რომლებიც მარქსიზმის „დამატების“ სახით ამახინჯებდნენ მას, აცლიდნენ რევოლუციურ შინაარსს.

ა. წულუკიძის ნაწარმოებნი შეიძლება მიეკუთვნოს რევოლუციური მარქსიზმის კლასიკურ ფონდს. ა. წულუკიძე იყო ამხანაგ სტალინის უახლოესი თანაშემწე პარტიის ლენინური ხაზის განხორციელების საქმეში. წულუკიძე განუხრელად იცავდა ლენინურ ხაზს.

ა. წულუკიძის რევოლუციურ მოღვაწეობას მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიისათვის, ვინაიდან იგი ეკუთვნის ლენინ-სტალინის საქმისათვის მებრძოლთა შესანიშნავ პლეადას, რომლებიც მთელი თავიანთი მოღვაწეობით განამტკიცებდნენ ჩვენს პარტიას, ემსახურებოდნენ სოციალიზმის საქმის გამარჯვებას.

ახლა, როცა საბჭოთა ხალხი ზეიმობს გამარჯვებას კაცობრიობის უბოროტეს მტერზე — გერმანიის ფაშიზმზე, განსაკუთრებული ბრწყინვალებით დგება ჩვენს წინ ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის კრისტალურად წმინდა, კეთილშობილი მებრძოლის ა. წულუკიძის სახე.

ა. წულუკიძე ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა საუკეთესო მომავლის, კომუნიზმის დიადი იდეის გამარჯვების ურყევი რწმენით. სიკვდილის წინ მისი სიტყვები იყო: „იდეა მაინც გაიმარჯვებს“.

მოხსენებით „ა. წულუკიძის ბრძოლა ოპორტუნისტების წინააღმდეგ“ გამოვიდა დოცენტი ლ. ე. გორგილაძე.

ა. წულუკიძე შეურიგებელ იდეურ-პოლიტიკურ ბრძოლას ეწეოდა „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობის წინააღმდეგ, რომელსაც ნოე ჟორდანია მეთაურობდა. წულუკიძე ამხილებდა ქართველი ლეგალური მარქსისტების მტკიცებათა ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ ხასიათს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს წულუკიძის ბრძოლას ნაროდნიკების წინააღმდეგ. საქართველოში მან პირველმა გააკრიტიკა ღრმად ნაროდნიკების — მარქსიზმის ამ უბოროტესი მტრების მცდარი და მავნე შეხედულებანი.

საჭიროა აღინიშნოს ა. წულუკიძის ბრძოლა გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის ეგრეთწოდებული „მეორე დასის“ ბურჟუაზიულ-პროგრესიული მიმდინარეობის წინააღმდეგ. სტატიაში „ღია წერილი ბ-ნ გ. წერეთელს“ ა. წულუკიძემ მკაცრად გააკრიტიკა გ. წერეთლის შენიღბული ბურჟუაზიული შეხედულებანი, ბრწყინვალედ დაამტკიცა, რომ გ. წერეთელი ქართული ნაციონალური ბურჟუაზიის იდეოლოგიის მატარებელია.

ა. წულუკიძე დიდ ბრძოლას ეწეოდა საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის — სოციალ-ფედერალისტების ლიდერის ა. ჯორჯაძის წინააღმდეგ. კლასიკურ ნაშრომში „ოცნება და სინამდვილე“ წულუკიძემ გააცამტვერა ა. ჯორჯაძის ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული შეხედულებანი, ამხილა ამ უკანასკნელის იდეალისტური შეხედულებანი საზოგადოებრივ მოვლენათა ფაქტორებზე.

ა. წულუკიძემ გვიჩვენა ა. ჯორჯაძისა და ნ. ჟორდანიას „საერთო ნიადაგის“ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური თეორიის მთელი უბადრუკობა.

თავის სტატიებსა და ბროშურებში ამხ. წულუკიძემ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მენშევიკების ოპორტუნიზმს საორგანიზაციო საკითხებში და ბრწყინვალედ დაიცვა ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები.

პროფესორი პ. ვ. გუგუშვილი გამოვიდა მოხსენებით „წულუკიძე როგორც ეკონომისტი“.

ა. წულუკიძე, ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლი და ერთგული მეგობარი, ეკონომიკის საკითხებზე დაწერილ თავის ნაშრომებში არა მარტო იცავდა მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას და ეწეოდა მის პოპულარიზაციას, არამედ შემოქმედებითად იყენებდა მას საქართველოსა და ამიერკავკასიის კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში.

ა. წულუკიძე ყრმობიდანვე სწავლობდა ეკონომიკის საკითხებს და კ. მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას. 90-იანი წლების ჯერ კიდევ მეორე ნახევრიდან იგი მშრომელთა ფართო მასაში ეწეოდა კ. მარქსის გენიალური ნაშრომის „კაპიტალის“ ძირითადი იდეების პოპულარიზაციას. წულუკიძემ თავის ნაწარმოებებში გამანადგურებლად გააკრიტიკა წვრილბურჟუაზიული ეკონომისტებისა და პუბლიცისტების ცდები მარქსიზმის ვულგარიზაციისა.

ა. წულუკიძეს ქვა ქვაზე არ დაუტოვებია ქართველი ბურჟუაზიული ეკონომისტების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური თეორიისაგან, რომლებიც საქართველოს მუშათა კლასისა და ნაციონალური ბურჟუაზიის ერთიანობას ამტკიცებდნენ.

ა. წულუკიძე საქართველოში პირველი მარქსისტ-ეკონომისტი იყო, რომელმაც გვიჩვენა კაპიტალიზმის შემოჭრა საქართველოში და განსაზღვრა მისი განვითარების სპეციფიკური გზები.

პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში დაწერილ თავის ნაშრომში ა. წულუკიძემ მოგვცა კლასიკური ბურჟუაზიული ეკონომიური მეცნიერების ისეთ წარმომადგენელთა მოძღვრების მარქსისტულ-ლენინური შეფასება, როგორიც ფრანსუა კენე და ადამ სმიტი არიან.

წიგნში „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“, რომელიც 1904 წელს გამოქვეყნდა, ა. წულუკიძემ პირველმა ქართულ ენაზე და ერთმა პირველთაგანმა რუსეთში მოგვცა კ. მარქსის „კაპიტალის“ ძირითად პრობლემათა პოპულარული სისტემატური გადმოცემა. ამასთან, ერთად მან მოგვცა კაპიტალიზმის განვითარების ზოგიერთი ახალი მოვლენის მარქსისტული ანალიზი.

წიგნით „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“ ა. წულუკიძემ თეორიულად შეაიარაღა რევოლუციური სოციალ-დემოკრატია.

თემისადმი — „ა. წულუკიძის ლიტერატურული შეხედულებანი“ იყო მიძღვნილი დოცენტ გ. ნ. ჯიბლაძის მოხსენება.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ა. წულუკიძის განსაკუთრებულ როლს საქართველოში მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის შექმნაში. მისი სტატიები „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“, „მკითხველის შენიშვნები“ წარმოადგენენ პირველ კლასიკურ ნიმუშს მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურული კრიტიკის დარგში საქართველოში. ამ სტატიებში ა. წულუკიძემ წამოაყენა ხელოვნების თეორიის მთელი რიგი საკითხები. მან მკაცრად გააკრიტიკა ქართველი ლეგალური მარქსისტების ბელადი ნ. ჟორდანია, აგრეთვე ქართული იდეალისტური ლიტერატურული კრიტიკის წარმომადგენელი კ. აბაშიძე, რომლებიც ამტკიცებდნენ 90-იანი წლების ქართული ლიტერატურის დაცემას 60-იანი წლების ლიტერატურასთან შედარებით.

სტატიაში „მკითხველის შენიშვნები“, რომელიც 1900 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“, წულუკიძემ წამოაყენა ლიტერატურის ბევრი საჭირბოროტო საკითხი. ამავე სტატიაში მან მკაცრად გააკრიტიკა ა. ჯორჯაძე და კ. აბაშიძე მათი მცდარი შეხედულებებისათვის 90-იანი წლების ქართულ ლიტერატურაზე.

ა. წულუკიძე ლიტერატურას განიხილავდა როგორც კლასობრივი ბრძოლის იარაღს. შესანიშნავ ბროშურაში „ოცნება და სინამდვილე“, რომელიც 1903 წელს გამოვიდა, ა. წულუკიძემ გააკრიტიკა ქართველი სოციალ-ფედერალისტების ლიდერი ა. ჯორჯაძე და ქართველი „ლეგალური მარქსისტების“ ლიდერი ნ. ჟორდანია და დაამტკიცა, რომ ენა არის არა კლასებისა და პარტიების „საერთო ნიადაგის“ საშუალება, როგორც ისინი ამტკიცებდნენ, არამედ კლასობრივი ბრძოლის იარაღი.

ა. წულუკიძე მთლიანად ატარებდა ცხოვრებაში ლენინის მიერ წამოყენებულ კლასობრივ პრინციპს ლიტერატურაში, იბრძოდა იმისათვის, რომ საქართველოში ლიტერატურული საქმე გადაექცია პროლეტარიატის საერთო საქმის ნაწილად.

მოსკოვს ჩამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ზდ. ფირლინგერი და ჩეხოსლოვაკიის მთავრობის წევრები

21 ივნისს მოსკოვს ჩამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ზდ. ფირლინგერი მეუღლიანად, ნაციონალური თავდაცვის მინისტრი გენერალი ლ. სვობოდა, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი გ. რიპკა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ბ-ნი ა. პროხაზკა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ-ნი ვ. კლემენტისი და სხვ.

ამავე დროს მოსკოვს ჩამოვიდა სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ვ. ა. ზორინი.

ცენტრალურ აეროდრომზე მოსულთ შეხვდნენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე მ. ს. სტეპანოვი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. იასნოვი, გენერალ-ლეიტენანტი კ. რ. სინილოვი, პ. ნ. კუბიკინი, ფ. ფ. მოლოჩკოვი, ი. ვ. ბაკულინი, გენერალ-მაიორი მ. პ. კუტუზოვი, ა. ნ. აბრამოვი.

მოსულთ შეხვდნენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის საელჩოს შემადგენლობა დროებითი საქმეთა რწმუნებულის ბ-ნ ი. გნიზდოს მეთაურობით, იუგოსლავიის ელჩი ბ-ნი ვ. პოპოვიჩი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სამხედრო მისიის უფროსი ბრიგადის გენერალი გ. პიკა, პოლონეთის საელჩოს პირველი მდივანი ბ-ნი ვ. ზატვინი და სხვ.

შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. აეროდრომი მორთული იყო ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

ვ. მ. მოლოტოვის საუბარი ჩეხოსლოვაკიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ბ-ნ ზდ. ფირლინგერთან

22 ივნისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ვ. მ. მოლოტოვს საუბარი ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ბ-ნ ზდ. ფირლინგერთან.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში ვ. ა. ზორინი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

კოლმეურნეობებში თესლბრუნვათა შემოღებისა და ათვისების საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭო აღნიშნავს, რომ ომის წინა წლების მანძილზე კოლმეურნეობებში გაწეული იყო მნიშვნელოვანი მუშაობა სწორ თესლბრუნვათა შემოღების საქმეში, რამაც შესაძლებლობა მოგვცა გაგვედიდებინა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა კოლმეურნეობათა მინდვრებში; მაგრამ ომის დროს თესლბრუნვათა შემოღება მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო შემოღებული და ათვისებული თესლბრუნვანი ზოგ შემთხვევაში დარღვეული აღმოჩნდნენ. ისეთ კოლმეურნეობებში, სადაც არ იყო ან ირღვეოდა თესლბრუნვები, არ უზრუნველყოფდნენ ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენას, სარეველათაგან მინდვრების გაწმენდას, არ იცავდნენ ნათესთა სწორი განლაგების ელემენტარულ მოთხოვნებს, რაც იწვევდა მინდვრების დიდ დასარევლიანებას და მოსავლიანობის შემცირებას.

თესლბრუნვათა შემოღებისა და ათვისების საქმის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, უმთავრესად, იმით აიხსნება, რომ ბევრ რაიონში ადგილობრივმა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა დაივიწყეს თესლბრუნვათა მნიშვნელობა და უყურადღებოდ მიატოვეს ეს საქმე, საჭირო მზრუნველობას არ იჩენენ კოლმეურნეობებში მრავალწლიანი ბალახების ნათესთა გადიდებისათვის, ანეულის თავის დროზე მოხვნისა და დამუშავებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესთა განლაგებაში ძირითადი წესების დაცვისა და წინამორბედთა სწორი გამოყენებისათვის. უფრო მეტიც, ადგილობრივი ორგანოები ხშირად თვითონ არღვევდნენ თესლბრუნვას ცალკე რაიონებისა და კოლმეურნეობებისათვის სათესი ფართობების არასწორი დაგეგმვით.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო, შეუწყნარებლად მიაჩნია თესლბრუნვის, როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი საშუალების, შემოღებისა და ათვისების საქმისადმი შემდგომში ასეთი დამოკიდებულება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო ავალებს სსრ კავშირის მიწსახკომს, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, სამხარეო, საოლქო და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველყონ 1945 წელს კოლმეურნეობებში თესლბრუნვათა შემოღებისა და ათვისების საქმის გადაჭრით გაუმჯობესება.

სოფლის მეურნეობის უსწრაფესად აღდგენისა და შემდგომი აღმავლობის, კოლმეურნეობებში ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების, მოსავლიანობის ზრდისა და მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ **დაადგინა:**

დაევალოთ სსრ კავშირის მიწსახკომს, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს:

I. დარღვეულ თესლბრუნვათა აღდგენის დარგში

1. 1945 წლის გაზაფხულზე მოაწყონ კოლმეურნეობებში, სადაც შემოღებული იყო თესლბრუნვა, შემოწმება თესლბრუნვათა მდგომარეობისა, მათი ათვისებისა, თესლბრუნვათა ათვისების გეგმების არსებობისა და სისწორისა, აგრეთვე თუ რამდენად დაცულია მინდვრების მიჯნები ნატურით და სამიჯნო ნიშნები. იმ კოლმეურნეობებში, სადაც არ არის თესლბრუნვათა ათვისების გეგმები, ან სადაც ნათესების ფაქტიური განლაგება არ შეესაბამება გეგმებს, შეადგინონ ან დააზუსტონ ეს გეგმები. იმ კოლმეურნეობებში, სადაც გადახნულია მინდვრების მიჯნები ან მოსპობილია სამიჯნო ნიშნები, — აღადგინონ ისინი.

თესლბრუნვათა ათვისების გეგმების შედგენისა და დაზუსტებისას იხელმძღვანელონ შემდეგი ძირითადი დებულებებით წინამორბედთა გამოყენების შესახებ:

ა) არ დაუშვან თავთავიანი კულტურების ზედიზედ თესვა ერთსა და იმავე მინდორზე ორ წელზე მეტ ხანს;

ბ) არ განალაგონ სუფთა ანეულები მრავალწლიანი ბალახების შემდეგ და მომდევნო წელს, სათოხნი და პარკოსანი კულტურების შემდეგ და სუფთა ანეულის მომდევნო საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების შემდეგ. სუფთა ანეულებისათვის თესლბრუნვათა ათვისების პერიოდში გამოჰყონ ყველაზე უფრო დასარევლიანებული მინდვრები;

გ) საგაზაფხულო ხორბლის ნათესები პირველ რიგში განალაგონ მრავალწლიან ნასვენ მიწებზე და მომდევნო წელს, მრავალწლიანი ბალახების შემდეგ და მომდევნო წელს ან საშემოდგომო კულტურების შემდეგ, რომლებიც დათესილი იყვნენ სუფთა ანეულებზე, კარტოფილისა და ჭარხლის შემდეგ, ხოლო აღმოსავლეთ და იმიერვოლგის რაიონებში — აგრეთვე სუფთა ანეულებზეც;

დ) კარტოფილის, შაქრის ჭარხლისა და მზესუმზირის ნათესები განალაგონ პირველ რიგში საშემოდგომო კულტურებზე, რომლებიც მოსდევენ განოყიერებულ ანეულებს, მრავალწლიანი ბალახების შემდეგ მოთესილ კულტურათა მომდევნო წელს და მარცვლოვან-პარკოსან კულტურებზე.

2. 1945 წლისათვის დაწესებულ იქნას დარღვეულ თესლბრუნვათა აღდგენის გეგმა 22.710 კოლმეურნეობაში, რომლებიც შემდეგნაირად ნაწილდებიან ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით:

ალტაის მხარე	—	100
ბაშკირეთის ასსრ	—	500
ბრიანსკის ოლქი	—	225
ბურიატ-მონღოლეთის ასსრ	—	40
ველიკიე ლუკის ოლქი	—	200
ვოლოგდის ოლქი	—	200
ვორონეჟის ოლქი	—	500
გორკის ოლქი	—	193
ივანოვოს ოლქი	—	107
კალინინის ოლქი	—	500
კალუგის ოლქი	—	250
კემეროვოს ოლქი	—	300
კიროვის ოლქი	—	500
კოსტრომის ოლქი	—	40
კომის ასსრ	—	130
კრასნოდარის მხარე	—	100
ყირიმის ასსრ	—	110
კურსკის ოლქი	—	500
კუიბიშევის ოლქი	—	350
ლენინგრადის ოლქი	—	270
მარიის ასსრ	—	120
ნოვგოროდის ოლქი	—	200
ნოვოსიბირსკის ოლქი	—	400
ომსკის ოლქი	—	500
პენზის ოლქი	—	400
ფსკოვის ოლქი	—	200
როსტოვის ოლქი	—	240
რიაზანის ოლქი	—	100
სარატოვის ოლქი	—	265
სვერდლოვსკის ოლქი	—	100
სმოლენსკის ოლქი	—	400
სტალინგრადის ოლქი	—	400
ტამბოვის ოლქი	—	300
ტულის ოლქი	—	375
უდმურტიის ასსრ	—	74
ულიანოვსკის ოლქი	—	300
ხაბაროვსკის მხარე	—	89
ჩელიაბინსკის ოლქი	—	186
ჩკალოვის ოლქი	—	150
ჩუვაშეთის ასსრ	—	112
ბელორუსიის სსრ	—	6,200
ყაზახეთის სსრ	—	460
კარელო-ფინეთის სსრ	—	50
ყირგიზეთის სსრ	—	40
მოლდავეთის სსრ	—	25
უზბეკეთის სსრ	—	900
უკრაინის სსრ	—	5,000

3. დაადგინონ დარღვეულ თესლბრუნვათა აღდგენის სამუშაოების შემდეგი წესი:

ა) კოლმეურნეობებში თესლბრუნვათა აღდგენის დაწესებული გეგმის თანახმად რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებმა, სამხარეო (საოლქო) აღმასკომებმა ა. წ. 20 ივლისამდე განიხილონ სამხარეო აღმასკომების წინადადებანი კოლმეურნეობებში თესლბრუნვათა აღდგენის შესახებ და 1945 წლისათვის ყოველ რაიონს დაუწესონ თესლბრუნვათა აღდგენის სამუშაოების გეგმა, ამასთან აღნიშნონ ის კოლმეურნეობანი, რომლებშიც თესლბრუნვა აღდგენილ უნდა იქნას;

ბ) რაიაღმასკომებმა მიამაგრონ აგრონომები და მიწათმომწყობნი იმ კოლმეურნეობებს, რომლებშიც გეგმით აღდგენილ უნდა იქნას თესლბრუნვა. თესლბრუნვათა აღდგენის სამუშაოების გასაწევად მიმაგრებული აგრონომები და მიწათმომწყობნი ვალდებული არიან კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად განიხილონ თესლბრუნვის აღდგენის საკითხი, დასახონ ამ სამუშაოს წესი, შეაგროვონ არსებული დოკუმენტაცია. კოლმეურნეობის თავმჯდომარესა და ბრიგადირებთან ერთად დაათვალიერონ თესლბრუნვათა მინდვრები ნატურით, აღადგინონ სამიჯნო ნიშნები, ნახაზზე აღნიშნონ წინამორბედები და შეადგინონ თესლბრუნვათა ათვისების გეგმა ნათესთა ყველაზე უფრო მიზანშეწონილი განლაგების გათვალისწინებით. რაიაღმასკომები ვალდებული არიან უზრუნველყონ კოლმეურნეობანი საჭირო სქემატური ნახაზებით;

გ) თესლბრუნვათა აღდგენის გეგმას განიხილავს კოლმეურნეობის გამგეობა აგრონომის ან მიწათმომწყობის მონაწილეობით, და რაიონში შემოწმების შემდეგ განიხილავს კოლმეურნეთა საერთო კრება და დაამტკიცებს სამხარეო აღმასკომი აუცილებლად კოლმეურნეობის იმ თავმჯდომარის, აგრონომისა და მიწათმომწყობის თანდასწრებით, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ პროექტის შემუშავებაში.

II. თესლბრუნვათა შემოღების დარგში

4. დაწესდეს, რომ თესლბრუნვა კოლმეურნეობაში აგებულ უნდა იქნას ოლქებისა და რაიონების სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების ამოცანების, აგრეთვე ყოველი კოლმეურნეობის კონკრეტული სამეურნეო და ბუნებრივი პირობების შესაბამისად.

წესიერ თესლბრუნვათა შემოღებისას აუცილებელი პირობა უნდა იყოს მათში ბალახთესვის გამოყენება, ამასთან ფართოდ უნდა გამოიყენონ აკადემიკოს ვილიამსის მიერ რეკომენდებული პარკოსანი და მარცვლოვანი მრავალწლიანი ბალახების ბალახნარევი თესვა, აგრეთვე თავის დროზე მოხნული და კარგად დამუშავებული ანეულები.

5. დაწესდეს 1945 წლისათვის თესლბრუნვათა შემოღების გეგმა 17.429 კოლმეურნეობაში და ისინი შემდეგნაირად განაწილდნენ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით:

ალტაის მხარე	—	150
არხანგელსკის ოლქი	—	300
ასტრახანის ოლქი	—	30
ბაშკირეთის ასსრ	—	400
ბურიატ-მონღოლეთის ასსრ	—	162
ბრიანსკის ოლქი	—	25
ვოლოგდის ოლქი	—	1,000
ვორონეჟის ოლქი	—	200
ვლადიმირის ოლქი	—	440
ველიკიე ლუკის ოლქი	—	200
გორკის ოლქი	—	400
გროზნოს ოლქი	—	30
დაღესტნის ასსრ	—	75
ივანოვოს ოლქი	—	213
ირკუტსკის ოლქი	—	400
ყაბარდოს ასსრ	—	20
კალინინის ოლქი	—	255
კემეროვოს ოლქი	—	130
კიროვის ოლქი	—	1,000
კომის ასსრ	—	115
კრასნოდარის მხარე	—	230
კრასნოიარსკის მხარე	—	400
კუიბიშევის ოლქი	—	310
ყურგანის ოლქი	—	325
კურსკის ოლქი	—	100
კოსტრომის ოლქი	—	386
ყირიმის ასსრ	—	80
ლენინგრადის ოლქი	—	30
მარიის ასსრ	—	200
მოლოტოვის ოლქი	—	400
მორდოვეთის ასსრ	—	300
მოსკოვის ოლქი	—	1,200
ნოვოსიბირსკის ოლქი	—	300
ნოვგოროდის ოლქი	—	255
ომსკის ოლქი	—	300
ორიოლის ოლქი	—	600
პენზის ოლქი	—	250
ზღვისპირეთის მხარე	—	125
როსტოვის ოლქი	—	200
რიაზანის ოლქი	—	250
ჩრდილო ოსეთის ასსრ	—	50
სარატოვის ოლქი	—	235
სვერდლოვსკის ოლქი	—	100
სტავროპოლის მხარე	—	440
სტალინგრადის ოლქი	—	150
ტამბოვის ოლქი	—	312
თათრეთის ასსრ	—	500
ტომსკის ოლქი	—	150
ტიუმენის ოლქი	—	127
ულიანოვსკის ოლქი	—	100
უდმურტიის ასსრ	—	300
ხაბაროვსკის მხარე	—	100
ჩელიაბინსკის ოლქი	—	180
ჩიტის ოლქი	—	150
ჩკალოვის ოლქი	—	500
ჩუვაშეთის ასსრ	—	160
იაკუტიის ასსრ	—	30
იაროსლავლის ოლქი	—	200
აზერბაიჯანის სსრ	—	70
სომხეთის სსრ	—	277
საქართველოს სსრ	—	105
ყაზახეთის სსრ	—	400
ყირგიზეთის სსრ	—	126
ტაჯიკეთის სსრ	—	260
თურქმენეთის სსრ	—	325
უზბეკეთის სსრ	—	300

დაევალოთ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს, 1945 წლის 20 ივლისამდე განიხილონ რაიაღმასკომების წინადადებანი და ყოველ რაიონს დაუწესონ თესლბრუნვათა შემოღების რაიონული გეგმა 1945 წლისათვის და განსაზღვრონ ის კოლმეურნეობანი, რომლებშიც შემოღებულ უნდა იქნას თესლბრუნვა მათი მომზადებულობის გათვალისწინებით.

6. დაევალოთ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს შეიმუშაონ კოლმეურნეობებში თესლბრუნვათა შემოღების გეგმა 1946 და 1947 წლებისათვის და 1945 წლის 1 ოქტომბრისათვის წარმოუდგინონ იგი დასამტკიცებლად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს.

7. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებში სწორმა თესლბრუნვამ უნდა უზრუნველყოს:

ა) სახელმწიფო დავალებათა შესრულება სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომი ზრდა, მეცხოველეობის განვითარება და მისი პროდუქტიულობის ამაღლება, აგრეთვე სხვა დარგების (მებაღეობის, მებოსტნეობის და სხვ.) განვითარება და დარგების სწორი შეხამება;

ბ) გადამამუშავებელი მრეწველობის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით მომარაგება ახლომდებარე კოლმეურნეობებიდან ისე, რომ ლიკვიდირებულ იქნას მცირეტრანსპორტაბელური პროდუქციის (კარტოფილი, შაქრის ჭარხალი, ბოსტნეულისა და სხვ.) შორეული მიზიდვა.

სამრეწველო ცენტრებისა და დიდი ქალაქების გარშემო კარტოფილ-ბოსტნეულისა და სარძე-მეცხოველეობის ბაზების შექმნა;

გ) მთელი საკოლმეურნეო მიწის სწორი გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა მინდვრის თესლბრუნვაში მრავალწლიანი ბალახების თესვის გაფართოების, საკვებ თესლბრუნვათა შემოღების და მდელოებისა და საძოვრების მოწყობის გზით;

დ) კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მიწების ზუსტი გამიჯვნა საკარმიდამო ნაკვეთებისაგან, ფართობების შემდგომი გადიდება ბაღების, ვენახების, თუთის ხისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების გასაშენებლად და მინდორსაცავი ტყიანი ზოლების სწორი განლაგება;

ე) საუკეთესო პირობების შექმნა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენებისათვის თესლბრუნვის მინდვრების სწორი განლაგებისა და მიჯნების აღნიშვნის გზით.

8. თესლბრუნვათა შემუშავებისას, როგორც წესი, გაითვალისწინონ დამუშავებული ნახნავის ოდენობა (ფაქტიური ნათესი და ანეულები), რაც მიღწეული იყო 1940 წელს.

იმ კოლმეურნეობებში, რომლებმაც მთლიანად აითვისეს თავიანთი ნახნავი და რომელთაც აქვთ თავისუფალი სახნავად ვარგისი მიწები, გარდა პროდუქტიული მდელოებისა და საძოვრებისა, გაითვალისწინონ თესლბრუნვებში ახალი მიწების შეტანა და მახლობელ წლებში სათესად და სახნავად მათი გამოყენება.

შუა აზიის სარწყავი რაიონების კოლმეურნეობებში გაითვალისწინონ სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული სარწყავი მიწების აღდგენის ღონისძიებანი, აგრეთვე ახალი მიწების ათვისება სარწყავი მიწების მატების ხარჯზე.

9. სასოფლო-სამეურნეო ზონების განსაკუთრებულ თვისებათა შესაბამისად, სწორ თესლბრუნვათა შემოღებისა და ყოველ კოლმეურნეობაში კულტურების მონაცვლეობის დაწესებისას იხელმძღვანელონ შემდეგით:

ა. არაშავნიადაგიანი ზოლის კოლმეურნეობებში (არხანგელსკის, ბრიანსკის, ველიკიე ლუკის, ვლადიმირის, ვოლოგდის, გორკის, ივანოვოს, კალინინის, კალუგის, კიროვის ოლქები, კოსტრომის, ლენინგრადის ოლქები, მოლოტოვის ოლქი, მოსკოვის, ნოვგოროდის, ფსკოვის, რიაზანის, სვერდლოვსკის, სმოლენსკის, ტულისა და იაროსლავლის ოლქები, მარიის, უდმურტიის, ჩუვაშეთისა და კომის ასს რესპუბლიკები, ბელორუსიისა და კარელო-ფინეთის სს რესპუბლიკები), აგრეთვე მორდოვეთისა და თათრეთის ასს რესპუბლიკების კოლმეურნეობებში შესაბამისად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 25 მარტის დადგენილებისა „არაშავნიადაგიანი ზოლის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სწორ თესლბრუნვათა შემოღების შესახებ“:

ა) მესელეობის კოლმეურნეობებში შემოიღონ უპირატესად 7-8 ან 9-მინდვრიანი თესლბრუნვები, რომლებშიც უნდა იქნას 1-2 მინდორი სუფთა ანეული ან უპირატესად ცერცველა-შვრიით დაკავებული ანეული, 1-2 მინდორი საშემოდგომო კულტურები, არა უმეტეს სელის ერთი ფენისა, ტიმოფეევკასთან შერეული სამყურას ორ მინდვრამდე და 2-4 მინდორი საგაზაფხულო თავთავიანი, პარკოსანი და სათოხნი კულტურები;

ბ) იმ კოლმეურნეობებში, რომლებიც სელს არ თესენ (რომლებიც საკმაოდ ტენიან რაიონში მდებარეობენ), შემოიღონ უპირატესად 7-8-9-მინდვრიანი თესლბრუნვა, რომლებშიც უნდა იქნას ერთი მინდორი სუფთა ანეული, 2 მინდორი საშემოდგომო კულტურები, ორ მინდვრამდე მრავალწლიანი ბალახები და საგაზაფხულო თავთავიანი, პარკოსანი და სათოხნი კულტურების 3-4 მინდორი;

გ) არაშავნიადაგიანი ზოლის აღმოსავლეთი რაიონების კოლმეურნეობებში, სადაც საშემოდგომო ნათესები უზრუნველყოფილ უნდა იქნან შეძლებისდაგვარად სუფთა ანეულებით, შემოღებულ იქნას უპირატესად 8-9, ხოლო დიდ კოლმეურნეობებში 10-მინდვრიანი თესლბრუნვა, რომელშიც უნდა განალაგდეს ორ მინდვრამდე საშემოდგომო კულტურები სუფთა ანეულებზე, ორ მინდვრამდე მრავალწლიანი ბალახები და საგაზაფხულო თავთავიანი, პარკოსანი და სათოხნი კულტურების 3-5 მინდორი;

დ) მსუბუქ ქვიშნარ ნიადაგიან კოლმეურნეობებში შემოღებულ იქნას 4-5-6-7-მინდვრიანი თესლბრუნვა, მრავალწლიანი ბალახების გარეშე, ამასთან ფართოდ გამოიყენონ ხანჭკოლის ანეულები, ხოლო ის მინდორი, სადაც საშემოდგომო ნათესები იყო, გამოიყენონ უპირატესად სათოხნი კულტურებისათვის.

ე) იმ კოლმეურნეობებში, რომლებიც კარტოფილგადამამუშავებელი და შაქრის ქარხნების ზონებში მდებარეობენ, შემოიღონ უპირატესად 7-8-9-მინდვრიანი თესლბრუნვა, რომელშიც უნდა იქნას არა უმეტეს ერთი მინდორი სუფთა ანეულისა, ორ მინდვრამდე კარტოფილი, არა უმეტეს ერთი მინდორი შაქრის ჭარხლისა, 1-2 მინდორი საშემოდგომო კულტურები, 2-3 მინდორი სხვა საგაზაფხულო კულტურები და ორ მინდვრამდე მრავალწლიანი ბალახები;

ვ) იმ კოლმეურნეობებში, რომლებშიც განვითარებულია მებოსტნეობა, შემოიღონ 6-7-8-მინდვრიანი თესლბრუნვა, რომელშიც უნდა იქნას 1-2 მინდორი მრავალწლიანი ბალახები, 3-4 მინდორი საბოსტნე კულტურები, ან შემოიღონ ბოსტნეულისა და მინდვრის კულტურების ორი თესლბრუნვა.

ზ) მდელო-საძოვარი ბალახების მეთესლეობის სანერგეთა რაიონების კოლმეურნეობებში შემოიღონ თესლბრუნვანი, რომლებშიც გამოიყენონ სათესლე ბალახები 3-4 წლის განმავლობაში.

რჩევა მიეცეთ არაშავნიადაგიანი ზოლის კოლმეურნეობებს გააჩაღონ მუშაობა ჭაობებისა და დაჭაობებული ადგილების ამოშრობისა და ასათვისებლად და ათვისებული მიწები უპირატესად გამოიყენონ საკვები თესლბრუნვებისათვის. ნაკელთან ერთად თესლბრუნვათა მინდვრებში ფართოდ გამოიყენონ სასუქად ტორფი, ტორფის კომპოსტები, ფოსფორიტული ფქვილი, კირის შეტანა, ნახნავი ფენის გაღრმავება.

ბ. ცენტრალურ-შავნიადაგიანი ოლქების კოლმეურნეობებში (ვორონეჟის, კურსკის, ორიოლის, პენზის, ტამბოვის, ულიანოვსკის ოლქები, აგრეთვე ბაშკირეთის ასსრ მთიან-ტყიანი რაიონების კოლმეურნეობებში):

ა) ცენტრალურ-შავნიადაგიანი ოლქების კოლმეურნეობებში შემოიღონ უპირატესად 7-8-9-10-მინდვრიანი თესლბრუნვა, რომელშიც უნდა იქნას 1-2 მინდორი საშემოდგომო ანეული, 2 მინდვრამდე მრავალწლიანი ბალახები და 4-6 მინდორი მარცვლოვანი, ტექნიკური და სხვა კულტურები.

უფრო ტენიანი რაიონების კოლმეურნეობებში საშემოდგომო კულტურები განალაგონ თესლბრუნვებში, როგორც სუფთა ანეულებზე, ისე იმ ანეულებზე, რომლებიც დაკავებულია ერთწლიანი ბალახებით ან მარცვლოვან-პარკოსანი კულტურებით;

ბ) ჭარხლის მთესველ კოლმეურნეობებში შემოიღონ უპირატესად 7-8-9-10-მინდვრიანი თესლბრუნვა, რომელშიც უნდა იქნას 1-2 მინდორი საშემოდგომო ანეული, 1-2 მინდორი მრავალწლიანი ბალახები, ორ მინდვრამდე სათოხნი კულტურები, მათ შორის შაქრის ჭარხალი და 3-4 მინდორი მარცვლეული და სხვა კულტურები.

გ. სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქების კოლმეურნეობებში (ასტრახანის ოლქი, ბაშკირეთის ასს რესპუბლიკა, გარდა მთიან-ტყიანი რაიონებისა, კუიბიშევის, სარატოვის, სტალინგრადის, ჩკალოვის, როსტოვის, აქტიუბინსკის, გურიევის, დასავლეთ ყაზახეთისა და კუსტანაის ოლქები):

ა) სამხრეთ-აღმოსავლეთი ოლქების კოლმეურნეობებში, გარდა როსტოვის ოლქის უფრო ტენიანი რაიონებისა, შემოიღონ უპირატესად 8-9-10-მინდვრიანი თესლბრუნვა, რომელშიც უნდა იქნას 1-2 მინდორი საშემოდგომო ანეული საშემოდგომო კულტურებისათვის, სამამდე მინდორი მრავალწლიანი ბალახები და 5-6 მინდორი მარცვლოვანი, ტექნიკური და სხვა კულტურები.

ყველაზე უფრო გვალვიანი რაიონების კოლმეურნეობებში დაშვებულ იქნას თესლბრუნვათა შემოღება, რომლებშიც უნდა იქნას 3-4 მინდორი მრავალწლიანი ბალახები და ნაწილობრივ განლაგდეს საგაზაფხულო ხორბალი ანეულებზე;

ბ) როსტოვის ოლქის უფრო ტენიანი რაიონების კოლმეურნეობებში შემოიღონ უპირატესად 8-9-10-მინდვრიანი თესლბრუნვა, რომელშიც უნდა იქნას 1-2 მინდორი სუფთა, უპირატესად საშემოდგომო ანეული, 2-3-მინდორი საშემოდგომო კულტურები, ორ მინდვრამდე მრავალწლიანი ბალახები და 3-5 მინდორი სხვა კულტურები, ამასთან დაშვებულ იქნას საშემოდგომო კულტურების განლაგება არა მარტო სუფთა ანეულებზე, არამედ საადრეო სათოხნ კულტურებზეც, მრავალწლიანი ბალახების შემდეგ მოთესილ კულტურათა მომდევნო წელს და სუფთა ანეულების მომდევნო საშემოდგომო კულტურებზე.

გ) იმ კოლმეურნეობებში, რომლებშიც განვითარებულია სასაქონლო მებაღჩეობა, მსუბუქ ქვიშნარიან ნიადაგებზე შემოიღონ უპირატესად 7-8-9-მინდვრიანი თესლბრუნვა, რომელშიც უნდა იქნას ერთი მინდორი სუფთა ანეული საშემოდგომო კულტურებისათვის, 2-3-მდე მინდორი მრავალწლიანი ბალახები და ორ მინდვრამდე ბახჩეული კულტურები;

დ) ყველაზე უფრო გვალვიანი რაიონების კოლმეურნეობებში დაუშვან მრავალწლიანი ბალახების უსაფარველოდ თესვა;

ე) თესლბრუნვაში მრავალწლიანი ბალახების შემდეგ მიწა გამოიყენონ პირველ რიგში საგაზაფხულო ხორბლისათვის.

(დასასრული იქნება)

სასამართლო პროცესი

პოლონეთის, ლიტვის და ბელორუსიისა და უკრაინის დასავლეთი რაიონების ტერიტორიაზე "წითელი არმიის" ზურგში პოლონელთა არალეგალური მოქმედების ორგანიზატორთა, ხელმძღვანელთა და მონაწილეთა საქმის გამო *

20 ივნისის დილის სხდომა

სახელმწიფო ბრალმდებლის წითელი არმიის მთავარი სამხედრო პროკურორის იუსტიციის გენერალ-მაიორ ნ. ა. აფანასიევის სიტყვა

საბრალდებო სიტყვაში წითელი არმიის მთავარი სამხედრო პროკურორი იუსტიციის გენერალ-მაიორი ნ. ა. აფანასიევი წინასწარი და სასამართლო გამოძიების მასალების, მრავალი დოკუმენტისა და სხვა ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების საფუძველზე იძლევა ამ სასამართლო პროცესის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის დახასიათებას, ამჟღავნებს პოლონეთის არალეგალური ორგანიზაციის ძირგამომთხრელი საქმიანობის არსს და ანალიზს უკეთებს ამ პროცესით ბრალდებულთა დანაშაულებრივ საქმიანობას. პროკურორი ჩერდება ბრალდებულების ოკულიცკის, იანკოვსკის, ბენისა და იასიუკოვიჩის მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს ბრალდებულნი სავსებით მხილებული არიან ამ დანაშაულობათა ჩადენაში. ისინი სავსებით მხილებული არიან უდავო ობიექტური დამამტკიცებელი საბუთებით, მაგალითად, საქმეში არსებული დოკუმენტებით, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთებით, მოწმეთა ჩვენებით და საკუთარი აღიარებით.

თავისი სიტყვის დასასრულს სახელმწიფო ბრალმდებელი აცხადებს:

„მე ძალა დამრჩენია, რომ ჩამოვაყალიბო მოსაზრებანი სასჯელის ზომის შესახებ.

ოთხივე ბრალდებული ოკულიცკის მეთაურობით დამნაშავეა უმძიმეს დანაშაულობათა ჩადენაში. ეს დანაშაულობანი საუკეთესო საბჭოთა ადამიანების მრავალი და მრავალი მსხვერპლის ფასად დაჯდა.

და მიუხედავად ამისა, ამხანაგო მოსამართლენო, მე შესაძლებლად მიმაჩნია დაჟინებით არ მოვითხოვო მათ მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის შეფარდება. და არა მარტო იმიტომ, რომ მათ მოინანიეს თავიანთი დანაშაულობანი (თუმცა ჩვენი კანონით ეს წარმოადგენს დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებას და სასჯელის ზომის განსაზღვრისას სასამართლო მოვალეა გაითვალისწინოს ეს). და არა მარტო იმიტომ, რომ ისინი მოქმედებდნენ პოლონეთის ემიგრანტული „მთავრობის“ დირექტივების მიხედვით და, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოლონეთის არალეგალური ორგანიზაციის წყვდიადში „ანთებდნენ“ არა თავიანთი „შუქით“, არამედ ლონდონიდან ემიგრანტული მთავრობის ანარეკლი „შუქით“.

მე შესაძლოდ მიმაჩნია დავჯერდე მათთვის თავისუფლების აღკვეთის და არა დახვრეტის შეფარდებას უმთავრესად იმიტომ, რომ ჩვენ ამჟამად განვიცდით ჩვენი ხალხისა და ჩვენი გმირი წითელი არმიის მიერ მოპოვებულ დიად გამარჯვებათა სასიხარულო დღეებს.

იმ პირობებში, როცა ჩვენმა მამაცმა წითელმა არმიამ და ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა დიდმა სამშობლომ სხვა დემოკრატიული თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების ხალხებთან კავშირში მსოფლიოში უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს ჰიტლერელთა ურდოებზე, როცა ჩვენ ძლევამოსილად დავამთავრეთ ეს სამართლიანზე სამართლიანი ომი, და მტერი მიწასთან არის გასწორებული, ამ დამნაშავეთა მსგავსი ადამიანები უკვე აღარ წარმოადგენენ იმ საშიშროებას, რომელიც მოითხოვდა მათ მიმართ ისეთი სასჯელის შეფარდებას, როგორიც არის დახვრეტა.

ჩვენი ქვეყანა მშვიდობიანი განვითარების პერიოდში შევიდა და, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, ჩვენი დიდი ბელადის და საბჭოთა არმიებისა და მთელი საბჭოთა ხალხის გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის მეთაურობით შეუდგა მის წინაშე მდგომი დიადი ამოცანების გადაწყვეტას.

თქვენს განაჩენს მოელის მთელი ჩვენი ხალხი, მთელი მსოფლიო. თქვენი განაჩენი გაისმის, როგორც ჭეშმარიტი სამართლიანობის ხმა. ამასთანავე იგი გაისმის მრისხანე გაფრთხილებად საბჭოთა კავშირისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ყველა მტრისადმი, ყველა იმისადმი, ვინც შეეცდება თავისი დანაშაულებრივი ხელით შეარყიოს საბჭოთა და პოლონელი ხალხების მეგობრობა“.

სახელმწიფო ბრალმდებლის იუსტიციის მე-2 კლასის სახელმწიფო მრჩევლის რ. ა. რუდენკოს სიტყვა

სახელმწიფო ბრალმდებელი იუსტიციის მე-2 კლასის სახელმწიფო მრჩეველი რ. ა. რუდენკო სასამართლოს აცნობს საქმის ვითარებას და ბრალდებულების პუჟაკის, ზვიერჟინსკის, ბაგინსკის, მერზვას, სტიპულკოვსკის, ჩარნოვსკის, ხაცინსკის, ურბანსკის, მიხალოვსკის, კობილიანსკის და სტემლერ-დომბსკის კონკრეტულ დანაშაულს. სახელმწიფო ბრალმდებელი დასაბუთებულად სთვლის ბრალდებულ პუჟაკისადმი წაყენებულ ბრალდებებს, მხარს უჭერს ბრალდებას ბაგინსკის, ზვიერჟინსკის, მერზვას, ჩარნოვსკის, სტიპულკოვსკის, ურბანსკისა და ხაცინსკის მიმართ, მაგრამ შესაძლებლად სთვლის რვავე ბრალდებულს შეუფარდდეს სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების ხანგრძლივად აღკვეთასთან.

დასასრულ, სახელმწიფო ბრალმდებელი ეხება ბრალდებულების მიხალოვსკის, კობილიანსკისა და სტემლერ-დომბსკის როლს და აცხადებს, რომ მისი აზრით მათი დანაშაულის საკმაო დამამტკიცებელი საბუთები სასამართლო გამოძიებაზე შეგროვებული არ არის, რის გამო იგი მხარს არ უჭერს საბრალდებო განაჩენს მათ მიმართ.

20 ივნისის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე გრძელდება დამცველთა სიტყვების მოსმენა.

სიტყვა ეძლევა ადვოკატ **პლევაკოს**, რომელიც იცავს სტემლერ-დომბსკის. დამცველი აცხადებს, რომ ეთანხმება პროკურორს, რომელმაც სტემლერ-დომბსკის ბრალდებაზე უარი სთქვა.

სიტყვა ეძლევა ადვოკატ **მილოვიდოვს**. იგი იცავს ბრალდებულებს კობილიანსკისა და ჩარნოვსკის.

კობილიანსკის დასაცავად ამხ. მილოვიდოვი ამბობს:

— წინასწარი გამოძიების მასალებიდან გამომდინარეობს, რომ კობილიანსკის არ ეკავა არავითარი ოფიციალური მდგომარეობა და ჯერ კიდევ არ შესდგომოდა ეგრეთწოდებულ არალეგალურ „პარლამენტში“ მონაწილეობას. იგი იყო ამ „პარლამენტის“ წევრობის კანდიდატი იქიდან რომელიმე წევრის გასვლის შემთხვევისათვის. დამცველი სთხოვს სასამართლოს გამართლების განაჩენი გამოუტანოს ბრალდებულ კობილიანსკის.

ლაპარაკობს რა მეორე ბრალდებულ ჩარნოვსკიზე, რომელსაც იგი იცავს, ადვოკატი მილოვიდოვი სასამართლოს სთხოვს მიიღოს მხედველობაში, რომ ჩარნოვსკიმ აღიარა მისთვის წაყენებულ ბრალდებათა სისწორე.

დამცველი სასამართლოს სთხოვს შეუმსუბუქოს განაჩენი ბრალდებულ ჩარნოვსკის.

ადვოკატი **მარკოვიჩი** იცავს ბრალდებულებს ბაგინსკის და მერზვას.

დამცველი აღნიშნავს, რომ მერზვა, რომელსაც იგი იცავს, არ მონაწილეობდა წითელი არმიის წინააღმდეგ ტერორისტულ საქმიანობაში, და სთხოვს სასამართლოს, უარი სთქვას მერზვას ბრალდებაზე.

ლაპარაკობს რა ბრალდებულ ბაგინსკიზე — „რადა იედნოსტი ნაროდოვის“ ვიცე-პრეზიდენტზე, ადვოკატი იხსენებს პროკურორის სიტყვებს — „ტიტული დიდია, შინაარსი კი მცირე“ და სთხოვს სასამართლოს მაქსიმალურ შეწყნარებას ბრალდებულ ბაგინსკისათვის.

ადვოკატი **მიხალსკი** იცავს ბრალდებულებს ურბანსკისა და მიხალოვსკის. მიხალოვსკის შესახებ იგი სთხოვს სასამართლოს გამოუტანოს მას გამართლების განაჩენი.

გადადის რა ბრალდებულ ურბანსკის დაცვაზე, ამხ. მიხალსკი ამბობს:

— ურბანსკიმ თავი დამნაშავედ სცნო. ამ პროცესში მისი როლი და მნიშვნელობა მეორეხარისხოვანია. იგი იყო აღმსრულებელი, რომელიც სხვა პირთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მან მცდარად სცნო თავისი მოქმედება და შეხედულებები. მე ვთხოვ სასამართლოს, ურბანსკის მიმართ გაითვალისწინოს ყველა ეს გარემოება და მას მაქსიმალურად შემწყნარებელი განაჩენი გამოუტანოს.

ადვოკატი **ოცეპი**, რომელიც ბრალდებულ ზვიერჟინსკის იცავს, აცხადებს:

— ზვიერჟინსკის მთელი დანაშაულებრივი მოქმედება არის არა წამქეზებლის, არა ხელშემწყობის საქმიანობა, არამედ წამყრუებლის საქმიანობა. ფიქრობს რა, რომ ბრალდებულმა აღიარა თავისი შეცდომები და დანაშაულობანი, ბევრი რამ გადაიფიქრა და შეიგნო, დამცველი მიმართავს სასამართლოს და სთხოვს ამ შემთხვევაში გამოიყენოს რსფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 8 მუხლი, რომელიც სამართლის ჰუმანიური იდეით არის გამსჭვალული.

სიტყვა ეძლევა ადვოკატ **კაზნაჩეევს**, რომელიც იცავს ბრალდებულებს ხაცინსკისა და პუჟაკს.

დამცველი თხოულობს ხაცინსკის გამართლებას.

პუჟაკის მიმართ დამცველი სთხოვს სასამართლოს გაითვალისწინოს ბრალდებულის აღიარება და გამოუტანოს მას დასჯის ისეთი ზომა, რომელიც თავისუფლების ხანგრძლივი ვადით აღკვეთას არ მოითხოვს.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ბრალდებულ იანკოვსკის, რომელმაც სურვილი გამოსთქვა პირადად დაეცვა თავი. იგი აღიარებს, რომ პოლიტიკურად პასუხისმგებელია „ნიეს“ ორგანიზაციისათვის, ვინაიდან შეტყობილი ჰქონდა მისი საქმიანობა. ბრალდებული იანკოვსკი აგრეთვე აღიარებს, რომ დელეგატურაში გაგზავნილმა მისმა ინსტრუქციებმა გავლენა მოახდინეს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გამწვავებაზე. იგი აცხადებს, რომ წითელი არმიის ზურგში „აკ“-ის მონაწილეთა ტერორისა და დივერსიების აქტების შესახებ მან წინათ არ იცოდა და სთვლის, რომ ეს აქტები მცდარი იყო.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ბრალდებულ სტიპულკოვსკის, რომელმაც აგრეთვე ისურვა თვითონ დაეცვა თავი. სტიპულკოვსკი ამბობს, რომ, იყო რა პარტია „სტრონიცტვო ნაროდოვეს“ იურიდიული და პოლიტიკური მრჩეველი 1945 წლის მარტამდე, იგი ინფორმირებული არ ყოფილა წითელი არმიის წინააღმდეგ ტერორისტულ-დივერსიული საქმიანობის შესახებ. სტიპულკოვსკი აცხადებს, რომ „წითელი არმიის წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებას გერმანელებთან მისი ბრძოლის დროს, მე დავგმობდი როგორც სისულელეს და პოლონეთის ინტერესების წინააღმდეგ დანაშაულს“. სტიპულკოვსკი სთხოვს სასამართლოს გაამართლოს იგი.

შესვენების შემდეგ სასამართლო გადადის ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვების მოსმენაზე.

პირველი ლაპარაკობს ბრალდებული ოკულიცკი.

— მე ვაღიარებ, — ამბობს იგი, — რომ ჩვენ დიდი ხელყოფა მოვახდინეთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, დიდი შეცდომები ჩავიდინეთ. ისინი გამომდინარეობდნენ საბჭოთა კავშირისადმი ჩვენი უნდობლობიდან. ეს უნდობლობა კი გამომდინარეობდა პოლონეთის ლონდონის მთავრობისაგან მომდინარე პროპაგანდიდან.

საბჭოთა ხელისუფლების გამოხმაურება ჩვენს საქმიანობაზე და ჩვენი ყოფნა აქ, ბრალდებულთა სკამზე, სავსებით გასაგებია, საამისოდ საკმაო საფუძველი არსებობს. მე მინდა ხაზი გავუსვა საბჭოთა ხელისუფლების კარგ მოპყრობას ჩემდამი, როგორც დამნაშავისადმი, როგორც პატიმრისადმი.

თქვენს განაჩენს, ბატონო მოსამართლენო, მე დამშვიდებით შევხვდები, დარწმუნებული, რომ თქვენი გადაწყვეტილება სწორი იქნება.

(დასასრული მე-4 გვ.)

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი“ № 122.

სასამართლო პროცესი

პოლონეთის, ლიტვის და ბელორუსიისა და უკრაინის დასავლეთი რაიონების ტერიტორიაზე წითელი არმიის ზურგში პოლონელთა არალეგალური მოქმედების ორგანიზატორთა, ხელმძღვანელთა და მონაწილეთა საქმის გამო

(დასასრული)

მე ვთვლი, რომ დამნაშავე ვარ, მაგრამ მე ვმოქმედებდი როგორც ჯარისკაცი.

ბრალდებული **სტემლერ-დომბსკი** ამბობს:

— ჩემს უკანასკნელ სიტყვაში მინდოდა მეთქვა ჩემი რწმენისა და იმედების შესახებ, მაგრამ ორ სიტყვას დავჯერდები: გთხოვთ გამამართლოთ.

უკანასკნელი სიტყვა ეძლევა ბრალდებულ **იანკოვსკის**.

— ამ პროცესს,—ამბობს იგი,—მე ტრაგიკულ პროცესს ვუწოდებ. ასე ვუწოდებ იმიტომ, რომ იგი სწარმოებს მოსკოვში, საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, იმ ქვეყნის დედაქალაქში, რომლის არმიამაც გერმანელები განდევნა პოლონეთიდან და გაათავისუფლა იგი. ამ პროცესს მე ტრაგიკულს ვუწოდებ იმიტომ, რომ იგი სწარმოებს საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, სადაც ამას წინათ ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის მეგობრობის შესახებ.

ჩვენ ვშიშობდით, რომ საბჭოთა კავშირი პოლონეთის დამოუკიდებლობას დაემუქრებოდა. ეს შიში, საბედნიეროდ, არ გამართლდა.

სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის შექმნილ არანორმალურ ურთიერთობაში დიდი როლი შეასრულა იმ მცდარმა პოლიტიკამ, რომელსაც ეწეოდა პოლონეთის მთავრობა ლონდონში.

როგორც პოლონეთის ლონდონის მთავრობის მთავარი დელეგატი პოლონეთში, მე პასუხისმგებელი ვარ ყველაფრისათვის, რაც პოლონეთის ტერიტორიაზე ხდებოდა, და განზრახვა არა მაქვს მოვიხსნა ეს პასუხისმგებლობა.

ბრალდებული **კობილიანსკი** აცხადებს, რომ იგი თავის უკანასკნელ სიტყვას ზედმეტად თვლის და სთხოვს სასამართლოს გაამართლოს იგი.

— მე ვაცხადებ,—ამბობს ბრალდებული **ბენი**,—რომ ჩვენი საქმიანობა დანაშაულებრივი იყო. საიდან წარმოსდგებოდა ჩვენი შეცდომები? ისინი წარმოსდგებოდა პოლონეთის ლონდონის მთავრობის არასწორი პოლიტიკიდან, რომელსაც ჩვენ, არალეგალურ მდგომარეობაში მყოფნი, არაკრიტიკულად ვიღებდით.

ბატონმა პროკურორმა დღეს აქ სთქვა, რომ პოლონეთს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ორი გზა: ან საბჭოთა კავშირთან, ან გერმანელებთან. ეს სავსებით სწორია. გერმანელებთან შეუძლებელია ყოველგვარი თანამშრომლობა. ამიტომ ერთადერთი გზაა საბჭოთა კავშირთან პატიოსანი მეგობრული თანამშრომლობა. და საჭიროა, რომ პოლონეთის პოლიტიკა ხელში აიღონ იმ მოღვაწეებმა, რომლებსაც არ უწარმოებიათ მცდარი პოლიტიკა, იმის მსგავსი პოლიტიკა, როგორსაც დღემდე აწარმოებს პოლონეთის მთავრობა ლონდონში. ამ ადამიანთა ადგილზე უნდა მოვიდნენ დემოკრატიული მსოფლმხედველობის ადამიანები, რომლებიც შესძლებენ კარგი ურთიერთობა დაამყარონ საბჭოთა კავშირთან. და მაშინ სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის მეგობრობა დამყარდება არა ოცი წლით, როგორც ხელშეკრულებაშია ჩაწერილი, არამედ სამუდამოდ.

ბრალდებული **მიხალოვსკი** სასამართლოს სთხოვს გაათავისუფლოს იგი სასჯელისაგან და შესაძლებლობა მისცეს მალე დაბრუნდეს პოლონეთში, რათა დაიწყოს პატიოსანი მუშაობა პოლონელი ხალხის საკეთილდღეოდ, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის განმტკიცების სასარგებლოდ.

უკანასკნელი სიტყვა ეძლევა ბრალდებულ **იასიუკოვიჩს**.

— მე შეგნებული მაქვს,—აცხადებს იგი,—რომ პოლონეთის არალეგალური მთავრობა, და მასთან მეც, ცუდ პოლიტიკურ გზას დავადექით. ისარი არასწორად იყო დაყენებული, ჩვენ დროზე ვერ დავამოხრუნეთ და ჩიხში მოვექეცით.

ნებას მივცემ თავს მივესალმო ბატონ პროკურორის განცხადებას, რომ მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის ხელშეკრულების ჩაშლა.

ბრალდებული **პუჟაკი** ამბობს, რომ იგი, როგორც „რადა იედნოსცი ნაროდოვოის“ თავმჯდომარე, მზად არის პასუხი აგოს მისი მოქმედებისათვის. იგი სცნობს თავის პასუხისმგებლობას არალეგალური რადიოგადამცემით სარგებლობისათვის.

თავის პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ იცოდა არალეგალურ რადიოგადამცემთა არსებობის შესახებ, „არმია კრაიოვას“ რაზმების მიერ დივერსიული აქტების ჩადენის შესახებ, სცნობს ბრალდებული **ხაცინსკი**.

— მე გთხოვთ,—ამბობს ბრალდებული **ზვეჟინსკი**,—რომ განაჩენის გამოტანისას გათვალისწინებულ იქნას მთელი ჩემი ჩვენებანი და მთელი საბუთები, რომლებიც აქ ჩემმა პატივცემულმა დამცველმა წარმოადგინა. მე მწამს, რომ შეიქმნება ყველა პირობა, რათა სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის განხორციელდეს კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა.

ბრალდებული **ჩარნოვსკი** თავის უკანასკნელ სიტყვაში ამბობს, რომ იგი დამნაშავედ სცნობს თავს როგორც არალეგალური საქმიანობის მონაწილე. პოლონეთის არალეგალური ორგანიზაციამ,—აცხადებს ის,—რომელშიც მე აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი, ბევრი შეცდომა ჩაიდინა სსრ კავშირის მიმართ. ეს შეცდომები გამომდინარეობდა შექმნილი ვითარების არასწორი გაგებიდან.

ბრალდებული **ბაგინსკი** აცხადებს, რომ იგი პასუხისმგებელი არ არის „არმია კრაიოვას“ ტერორისტული და დივერსიული საქმიანობისათვის, და დაწვრილებით ლაპარაკობს უთანხმოებასა და კონფლიქტებზე პოლონეთის არალეგალურ ორგანიზაციაში.

ბრალდებულნი **ურბანსკი**, **მერზვა** და **სტიპულკოვსკი** სთხოვენ უმაღლეს სასამართლოს გამოუტანოს მათ გამამართლებელი განაჩენი.

ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები დამთავრდა. სასამართლო მიდის თათბირზე განაჩენის გამოსატანად. (საკდესი).

განაჩენი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ

თავმჯდომარის—სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის იუსტიციის გენერალ-პოლკოვნიკ **ვ. ვ. ულრიხის**

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის წევრების:

იუსტიციის გენერალ-მაიორ **ი. დ. დმიტრიევის**

იუსტიციის პოლკოვნიკ **ი. ვ. დეტისტოვის** შემადგენლობით

იუსტიციის პოლკოვნიკ **ა. ა. ბატნერის** და იუსტიციის პოდპოლკოვნიკ **ლ. ნ. კუდრიავცევის** მდივნობით

სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენლების:

წითელი არმიის მთავარი სამხედრო პროკურორის იუსტიციის გენერალ-მაიორ **ნ. ა. აფანასიევისა** და

მე-2 კლასის იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველ **რ. ა. რუდენკოს**

და ადვოკატთა მოსკოვის კოლეგიის წარმომადგენლების: **ი. დ. ბრაუდეს**, **ვ. ი. მიხალსკის**, **ნ. ნ. მილოვიდოვის**, **ს. კ. კაზნაჩეევის**, **ნ. პ. მარკევიჩის**, **მ. ა. ოცეპის** და **ს. ფ. პლევაკოს** მონაწილეობით—

ღია სასამართლო სხდომაზე ქალაქ მოსკოვში 1945 წლის 18-21 ივნისს განიხილა საქმე ბრალდებისა გამო:

1) ლეოპოლდ ბლაჟის-ძე **ოკულიცკისა**, 1898 წელს კრაკოვის სავოევოდოში დაბადებულის, პოლონელის, პოლონეთის მოქალაქის, პოლონეთის არმიის ბრიგადის გენერლის, რომელმაც დაამთავრა პოლონეთის გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია,—ბრალად ედება რსფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-6, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულობანი;

2) იან-სტანისლავ იოსების-ძე **იანკოვსკისა**, 1882 წელს ვისოკო-მაზოვეცკის მაზრაში დაბადებულის, პოლონელის, პოლონეთის მოქალაქის, უმაღლესი განათლების მქონის, პოლონეთის ლონდონის „მთავრობის“ პრემიერ-მინისტრის მოადგილის, ადგილსამყოფელით პოლონეთში, და პოლონეთის არალეგალური „მთავრობის“ ხელმძღვანელის;

3) ადამ ვალენტის-ძე **ბენის**, 1899 წელს სანდომირის მაზრაში დაბადებულის, პოლონელის, პოლონეთის მოქალაქის, უმაღლესი განათლების მქონის, „სტრონიცტვო ლიუდოვეს“ პრეზიდიუმის წევრის, პოლონეთის არალეგალური „მთავრობის“ მინისტრის;

4) სტანისლავ ეგნატეს-ძე **იასიუკოვიჩის**, 1882 წელს ქალაქ ლენინგრადში დაბადებულის, პოლონელის, პოლონეთის მოქალაქის, უმაღლესი განათლების მქონის, „სტრონიცტვო ნაროდოვეს“ პრეზიდიუმის წევრის, პოლონეთის არალეგალური „მთავრობის“ მინისტრის—

სამივეს ბრალად ედება რსფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულობანი;

5) კაზიმირ იოსების-ძე **პუჟაკის**, 1883 წელს ქალაქ ტარნოპოლში დაბადებულის, პოლონელის, პოლონეთის მოქალაქის, უმაღლესი განათლების მქონის, პოლონეთის სოციალისტური პარტიის გენერალური მდივნის, არალეგალური „რადა იედნოსცი ნაროდოვოის“ თავმჯდომარის;

6) ალექსანდრე კაზიმირის-ძე **ზვეჟინსკის**, 1880 წელს ლოძის სავოევოდოში დაბადებულის, პოლონელის, პოლონეთის მოქალაქის, უმაღლესი განათლების მქონის, „სტრონიცტვო ნაროდოვეს“ თავმჯდომარის და „რადა იედნოსცი ნაროდოვოის“ ვიცე-პრეზიდენტის;

7) კაზიმირ სტანისლავის-ძე **ბაგინსკის**, 1890 წელს ქალაქ ვარშავაში დაბადებულის, პოლონელის, პოლონეთის მოქალაქის, უმაღლესი განათლების მქონის, „სტრონიცტვო ლიუდოვეს“ პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის, „რადა იედნოსცი ნაროდოვოის“ ვიცე-პრეზიდენტის;

8) სტანისლავ ფრანცის-ძე **მერზვას**, 1905 წელს კრაკოვის სავოევოდოში დაბადებულის, პოლონელის, პოლონეთის მოქალაქის, უმაღლესი განათლების მქონის, „სტრონიცტვო ლიუდოვეს“ ცენტრალური კომიტეტის წევრის და კრაკოვის ორგანიზაციის მდივნის;

9) ზბიგნევ ფრანცის-ძე **სტიპულკოვსკის**, 1904 წელს ქალაქ ვარშავაში დაბადებულის, პოლონელის, პოლონეთის მოქალაქის, „სტრონიცტვო ნაროდოვეს“ პრეზიდიუმის წევრის;

10) ევგენი სტანისლავის-ძე **ჩარნოვსკის**, 1904 წელს ქალაქ ლოძში დაბადებულის, პოლონელის, პოლონეთის მოქალაქის, უმაღლესი განათლების მქონის, დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება „დემოკრატთა კავშირის“ გამგეობის თავმჯდომარის, „რადა იედნოსცი ნაროდოვოის“ წევრის;

11) იოსებ ანტონის-ძე **ხაცინსკის**, 1889 წელს ქალაქ ვარშავაში დაბადებულის, პოლონელის, პოლონეთის მოქალაქის, უმაღლესი განათლების მქონის, „სტრონიცტვო პრაცის“ თავმჯდომარის;

12) ფრანც ანდრიას-ძე **ურბანსკის**, 1891 წელს ვარშავის სავოევოდოში დაბადებულის, პოლონელის, პოლონეთის მოქალაქის, „სტრონიცტვო პრაცის“ პასუხისმგებელი მდივნის, „რადა იედნოსცი ნაროდოვოის“ მთავარი კომისიის მდივნის;

13) სტანისლავ ფრანცის-ძე **მიხალოვსკის**, 1903 წელს პოზნანის სავოევოდოში დაბადებულის, პოლონელის, პოლონეთის მოქალაქის, უმაღლესი განათლების მქონის, დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება „დემოკრატთა კავშირის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის;

14) კაზიმირ სამუელის-ძე **კობილიანსკის**, 1892 წელს ქალაქ ვარშავაში დაბადებულის, პოლონელის, პოლონეთის მოქალაქის, უმაღლესი განათლების მქონის, „სტრონიცტვო ნაროდოვეს“ წევრის და

15) იოსებ გენრიხის-ძე **სტემლერ-დომბსკის**, 1888 წელს ლვოვის ოლქში დაბადებულის, პოლონელის, პოლონეთის მოქალაქის, უმაღლესი განათლების მქონის, პოლონეთის არალეგალური „მთავრობის“ ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილისა და ამ დეპარტამენტის წიგნის გამომცემლობის განყოფილების ხელმძღვანელის —

თერთმეტივეს ბრალად ედება რსფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 17-58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულობანი.

წინასწარი და სასამართლო გამოძიებით დადგენილია:

პოლონეთის ლონდონის ემიგრანტულმა „მთავრობამ“ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ დროებით ოკუპირებულ პოლონეთის, ლიტვის სს რესპუბლიკის და უკრაინისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკების დასავლეთი ოლქების ტერიტორიაზე შექმნა არალეგალური სამხედრო ორგანიზაცია—„არმია კრაიოვა“ („აკ“). 1944 წლის სექტემბრამდე ამ ორგანიზაციას სათავეში ედგა პოლონეთის არმიის გენერალი „ბურ“-კომაროვსკი, ხოლო 1944 წლის ოქტომბრიდან, მას შემდეგ, რაც იგი ტყვედ დანებდა გერმანელებს,—მისი მოადგილე ბრიგადის გენერალი ლეოპოლდ **ოკულიცკი**.

„არმია კრაიოვას“ მოქმედებას ხელმძღვანელობდნენ აგრეთვე პოლონეთის არალეგალური „მინისტრთა საბჭოს“ თავმჯდომარე იან-სტანისლავ **იანკოვსკი** და მისი უახლოესი თანაშემწეები სტანისლავ **იასიუკოვიჩი** და ადამ **ბენი**.

საბჭოთა ჯარების მიერ უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთი ოლქების, აგრეთვე ლიტვისა და პოლონეთის ტერიტორიის განთავისუფლების შემდეგ, ბრალდებულნი **ოკულიცკი**, **იანკოვსკი**, **ბენი** და **იასიუკოვიჩი** იყვნენ ორგანიზატორები და ხელმძღვანელები პოლონეთის არალეგალური ორგანიზაციისა, რომელიც აქტიურ მტრულ მოქმედებას ეწეოდა საბჭოთა კავშირის მოქმედი ჯარების ზურგში.

„არმია კრაიოვას“ სარდალმა ბრიგადის გენერალმა **ოკულიცკიმ** ლონდონიდან ემიგრანტული „მთავრობისაგან“ მიიღო მთელი რიგი დაშიფრული რადიოგრამები, რომლებითაც „მთავრობა“ მოითხოვდა „აკ“-ის შეიარაღებული ძალების შენარჩუნებას.

1944 წლის 8 დეკემბრის რადიოგრამით **ოკულიცკის** აცნობეს ემიგრანტული „მთავრობის“ დადგენილების სრული ტექსტი, რომლითაც წინადადება ეძლეოდათ მოეხდინათ „არმია კრაიოვას“ და მისი ადამიანთა და მატერიალური რესურსების კონსპირირება.

ასრულებდა რა ამ მითითებებს, გენერალმა **ოკულიცკიმ** იმ მიზნით, რომ მოეტყუებინა მოქმედი საბჭოთა არმიის სარდლობა, 1944 წლის დეკემბერში ბრძანება გასცა „არმია კრაიოვას“ ფიქტიური დაშლის შესახებ, ამასთან შეინარჩუნა „აკ“-ის ძირითადი კადრები, მოახდინა მათი კონსპირირება და გულმოდგინედ გადამალა იარაღი, საომარი მასალა და მოქმედი რადიოსადგურები.

მოახდინა რა სიცრუისა და მოტყუების ეს „მანევრი“, **ოკულიცკიმ**, **იანკოვსკიმ**, **ბენმა** და **იასიუკოვიჩმა** გამოიყენეს „არმია კრაიოვას“ არალეგალურ მდგომარეობაზე გადაყვანილი შეიარაღებული რაზმები და ორგანიზაციები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აქტიური მტრული მოქმედებისათვის, მოქმედი წითელი არმიის ზურგში, რომელმაც პოლონეთი გერმანელ დამპყრობთაგან გაათავისუფლა.

1945 წლის თებერვალში არალეგალური „მინისტრთა საბჭოს“ სხდომაზე პოლონეთში ბრალდებულმა **ოკულიცკიმ** წინადადება შეიტანა, რომ მის მიერ „არმია კრაიოვას“ ძირითადი კადრებისაგან შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის „ნიეპოდლეგლოსცის“ („დამოუკიდებლობა“ შემოკლებით „ნიე“) სახელმძღვანელოდ შექმნათ — „პოლიტიკური ცენტრი“ „სტრონიცტვო ლიუდოვეს“ პარტიის, „სტრონიცტვო ნაროდოვეს“, პოლონეთის სოციალისტური პარტიისა და „დემოკრატთა კავშირის“ წარმომადგენლებისაგან.

„მინისტრთა საბჭომ“ ბრალდებულების **იანკოვსკის**, **ბენის**, **იასიუკოვიჩის** სახით მოიწონა **ოკულიცკის** წინადადება და დაავალა **იანკოვსკის** ამ საკითხზე მოლაპარაკება გაემართა აღნიშნული პარტიების წარმომადგენლებთან.

„ნიეპოდლეგლოსცის“ ორგანიზაციის ძირითადი ამოცანები იყო კადრების შედგენა და იარაღისა და მატერიალური სახსრების შენარჩუნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აჯანყების მოსამზადებლად, საბრძოლო რაზმებისა და ტერორისტული ჯგუფების მოწყობა „აკ“-ის მოწინააღმდეგეებისა და საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეების მკვლელობისათვის, დივერსიების მოხდენა და ჯაშუშური ცნობების შეკრება წითელი არმიის ზურგში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მიმართ მტრული პროპაგანდის გაწევა.

„არმია კრაიოვას“ ტერორისტული და დივერსიული ჯგუფები მოქმედი საბჭოთა არმიების ზურგში უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთი ოლქების ტერიტორიაზე, ლიტვასა და პოლონეთში 1944 წლის მანძილზე და 1945 წლის დამდეგს სისტემატურად ახდენდნენ ტერორისტულ აქტებს წითელი არმიის მებრძოლებისა და ოფიცრების მიმართ და დივერსიებს მოქმედი წითელი არმიის კომუნიკაციებზე.

„აკ“-ის რაზმები აწყობდნენ აგრეთვე შეიარაღებულ თავდასხმებს საბჭოთა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებზე.

არასრული ცნობებით მარტო 1944 წლის 28 ივნისიდან 31 დეკემბრამდე „აკ“-ის რაზმებმა მოკლეს წითელი არმიის 277 ოფიცერი და მებრძოლი და დასჭრეს 94.

ტერორისტულ-დივერსიულ საქმიანობასთან ერთად „აკ“-ის ადგილობრივი ორგანიზაციები, **ოკულიცკის** უშუალო ხელმძღვანელობით, ასრულებდნენ რა პოლონეთის ლონდონის ემიგრანტული „მთავრობის“ დირექტივებს, მოქმედი საბჭოთა არმიების ზურგში აგროვებდნენ დაზვერვითი ხასიათის ცნობებს, რასაც დაშიფრულად გადასცემდნენ რადიოთი.

პოლონეთის არალეგალური „მთავრობა“ და „არმია კრაიოვას“ ორგანიზაციები, რომლებსაც თავიანთ განკარგულებაში ჰქონდათ რადიოგადამცემი სადგურების განმტკიცებული ქსელი, რაც საბჭოთა სამხედრო სარდლობას გადაუმალეს. ამ სადგურებს იყენებდნენ იმისათვის, რომ პოლონეთის ლონდონის „მთავრობისათვის“ და „აკ“-ის მთავარი სარდლობისათვის გადაეცათ ინფორმაცია მათ მიერ ბრძანებებისა და დირექტივების შესრულების შესახებ, ჯაშუშური ცნობები საბჭოთა ჯარების შესახებ, აშკარა პროვოკაციული ჭორები საბჭოთა კავშირის ჯარების სამხედრო მოსამსახურეთა მოქმედების შესახებ გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებული პოლონეთის ტერიტორიაზე, ტენდენციური და ცილისმწამებლური ინფორმაცია პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ განთავისუფლებულ პოლონეთში.

თავიანთი პროვოკაციული ჭორების გავრცელებით არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელნი პოლონეთში ბრალდებულნი **ოკულიცკი**, **იანკოვსკი**, **ბენი** და **იასიუკოვიჩი** ცდილობდნენ ჩაეშალათ საბჭოთა სამხედრო სარდლობის ღონისძიებანი.

მათ მიერ პოლონეთის ემიგრანტული „მთავრობის“ სისტემატური „მომარაგება“ ყალბი ტენდენციურ-ცილისმწამებლური ინფორმაციით ხდებოდა იმ მიზნით, რომ ამ „მთავრობისათვის“ შესაძლებლობა მიეცათ ასეთი „ინფორმაციის“ გამოყენებით მოეხდინა ბრიტანეთის მთავრობის დეზინფორმაცია გერმანელ ოკუპანტებისაგან საბჭოთა კავშირის ჯარების მიერ განთავისუფლებულ პოლონეთში არსებული ნამდვილი მდგომარეობის შესახებ.

ეწეოდა რა საბჭოთა კავშირისადმი თავის მტრულ საქმიანობას, პოლონეთის არალეგალური „მთავრობის“ და „არმია კრაიოვას“ ხელმძღვანელობას განზრახული ჰქონდა ევროპაში ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული პოლონეთ-გერმანიის სამხედრო ბლოკის შექმნა. 1945 წლის დამდეგს **ოკულიცკიმ** თავისი „დირექტივებით“ ორიენტაცია მისცა „აკ“-ის ადგილობრივ ორგანიზაციებს მოემზადებინათ სამხედრო გამოსვლა გერმანიასთან ბლოკში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რადგან ვარაუდობდა, რომ გერმანიას მისწრაფება ექნებოდა რევანშისაკენ სსრ კავშირის წინააღმდეგ, რაც სასურველი იყო პოლონეთის ემიგრანტული „მთავრობისათვის“.

მოხსენებულის საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დამტკიცებულად სცნო, რომ **ოკულიცკის**, **იანკოვსკის**, **ბენს** და **იასიუკოვიჩს** ბრალი მიეძღვით რსფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულობათა ჩადენაში, ხოლო **ოკულიცკის**, გარდა ამისა,—რსფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-6 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულობის ჩადენაში.

ბრალდებულების კაზიმირ **პუჟაკის**, ალექსანდრე **ზვეჟინსკის**, კაზიმირ **ბაგინსკის**, სტანისლავ **მერზვას**, ზბიგნევ **სტიპულკოვსკის**, ევგენი **ჩარნოვსკის**, იოსებ **ხაცინსკისა** და ფრანც **ურბანსკის** მიმართ დადგენილია, რომ ყველა მათ, იცოდნენ რა, რომ პოლონეთის არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელნი არ ასრულებდნენ საბჭოთა სამხედრო სარდლობის ბრძანებებს მოქმედი წითელი არმიის ზურგში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრული მოქმედებებისათვის განკუთვნილი იარაღის, საომარი მასალისა და რადიოსადგურების ჩაბარების შესახებ, დაუმალეს ეს საბჭოთა სამხედრო სარდლობის ორგანოებს, რითაც ჩაიდინეს რსფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-12 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულობანი. ხოლო მათი ბრალდება რსფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 17-58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულობაში, არასაკმაო მამხილებელი საბუთების გამო, ჩათვალოს დაუმტკიცებლად.

სტანისლავ **მიხალოვსკის**, კაზიმირ **კობილიანსკისა** და იოსებ **სტემლერ-დომბსკის** დამნაშავეობა, როგორც **ოკულიცკის** და პოლონეთის არალეგალური ორგანიზაციის სხვა ხელმძღვანელთა თანამონაწილეობისა რსფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 17-58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულობაში, სასამართლო გამოძიების დროს საკმარისად არ დადასტურდა.

ბრალდებულთა სასჯელის ზომის გამოზომვისას, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია, მხედველობაში იღებს რა ამ საქმის მთელ გარემოებებს, ითვალისწინებს აგრეთვე იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირმა ძლევამოსილად დაამთავრა დიდი სამამულო ომი, მიიღო რა მხედველობაში, რომ მშვიდობიანი მშენებლობაზე გადასვლის პირობებში სასჯელის იმ სასტიკი ზომების, თვით დახვრეტის გამოყენება, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის ბრალდებულთა წინააღმდეგ წაყენებული მუხლებით, აუცილებლობით გამოწვეული არ არის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ —

მიუსაჯა:

1) ლეოპოლდ ბლაჟის-ძე **ოკულიცკის**, იან-სტანისლავ იოსების-ძე **იანკოვსკის**, ადამ ვალენტის-ძე **ბენს** და სტანისლავ ეგნატეს-ძე **იასიუკოვიჩს**, რსფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-2 მუხლის სანქციის საფუძველზე, თავისუფლების აღკვეთა:

ოკულიცკის ათი წლით,
იანკოვსკის რვა წლით,
ბენსა და **იასიუკოვიჩს** ხუთ-ხუთი წლით;

2) კაზიმირ იოსების-ძე **პუჟაკი**, კაზიმირ სტანისლავის-ძე **ბაგინსკი**, ალექსანდრე კაზიმირის-ძე **ზვეჟინსკი**, ევგენი სტანისლავის-ძე **ჩარნოვსკი**, სტანისლავ ფრანცის-ძე **მერზვა**, ზბიგნევ ფრანცის-ძე **სტიპულკოვსკი**, იოსებ ანტონის-ძე **ხაცინსკი** და ფრანც ანდრიას-ძე **ურბანსკი** რსფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 17-58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულობათა ჩადენაში ბრალდების მხრივ ჩაითვალონ სასამართლოს მიერ **გამართლებულად**, ხოლო რსფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-12 მუხლის სანქციის საფუძველზე, **მერზვას**, **სტიპულკოვსკის**, **ხაცინსკისა** და **ურბანსკისადმი** იმავე კოდექსის 51 მუხლის შეფარდებით, აღეკვეთოთ თავისუფლება შემდეგი ვადით:

პუჟაკს წელიწადნახევრით,
ბაგინსკის ერთი წლით,
ზვეჟინსკის რვა თვით,
ჩარნოვსკის ექვსი თვით,
მერზვას, **სტიპულკოვსკის**, **ხაცინსკის** და **ურბანსკის** ოთხ ოთხი თვით. თითოეულისავე წინასწარპატიმრობაში თავისუფლების აღკვეთის მოხდის ვადა ჩაეთვალოს ამ საქმეზე თვითეული მათგანის დაპატიმრების დღიდან;

3) სტანისლავ ფრანცის-ძე **მიხალოვსკი**, კაზიმირ სამუელის-ძე **კობილიანსკი** და იოსებ გენრიხის-ძე **სტემლერ-დომბსკი** ჩაითვალონ სასამართლოს მიერ **გამართლებულად**.

ნივთიერი მტკიცებანი საქმის გამო — დოკუმენტები დარჩეს საქმეში, ხოლო სხვადასხვა რადიოაპარატურა კონფისკებულ იქნას.

განაჩენი საბოლოოა და კასაციის წესით მისი გასაჩივრება არ შეიძლება.

თავმჯდომარე — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარე იუსტიციის გენერალ-პოლკოვნიკი
ვ. ულრიხი

წევრები — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის წევრები
იუსტიციის გენერალ-მაიორი **დმიტრიევი**
იუსტიციის პოლკოვნიკი **დეტისტოვი**

დეპეშები

რეიტერის სააგენტოს მიმომხილველი ავსტრიის პრობლემების შესახებ

ლონდონი, 20 ივნისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს მიმომხილველი იონ კიმჩე სწერს, რომ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის ვენაში სამხედრო მისიებმა ავსტრიის დედაქალაქი დასტოვეს და თავიანთ შტაბებში დაბრუნდნენ. წინათ არსებული იმედი, რომ მათ შემდეგ ვენას ჩაიცლიდა მოკავშირეთა კომისია სრული შემადგენლობით, არ გამართლდა.

ამასობაში, სწერს მიმომხილველი, რენერის მთავრობის მდგომარეობა, ეტყობა, ძლიერდება. ავსტრიის ის პროვინციული მთავრობებიც კი, რომლებიც ინგლისისა და ამერიკის ხელისუფალთა ემორჩილებიან, ეტყობა, სცნობენ მას, როგორც კანონიერ მთავრობას. ადგილებზე აგრეთვე იჩენენ ინიციატივას, რომელიც მიმართულია სამხრეთ ტიროლის პრობლემის გადაწყვეტისაკენ. სამხრეთი ტიროლი ამჟამად ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციის გამგებლობაში იმყოფება, და თუმცა ის ნომინალურად ჩრდილოეთ იტალიას ეკუთვნის და ამიტომ იმავე ადმინისტრაციის გამგებლობაში უნდა იმყოფებოდეს, რომელშიც ჩრდილოეთ იტალიის დანარჩენი ნაწილია, ეტყობა, არსებობს ზოგიერთი ეჭვი მისი მომავალი სტატუსის შესახებ. იტალიელებს, ბუნებრივია, სურთ შეინარჩუნონ სამხრეთი ტიროლი, მაგრამ ავსტრიელებმაც წამოაყენეს თავიანთი პრეტენზიები. იმისათვის, რომ თავიდან აცილებულ იქნას შეტაკებანი, როგორც ეს წარსული ომის შემდეგ მოხდა, ორი ეროვნების ანტიფაშისტმა წარმომადგენლებმა შექმნეს ავსტრია-იტალიის გაერთიანებული პატრიოტული კომიტეტი. მათ ხელი მოაწერეს შეთანხმებას იმის შესახებ, რომ თუ სამხრეთი ტიროლი იტალიას დარჩება, მაშინ ავსტრიელებმა უნდა ისარგებლონ სრული კულტურული ავტონომიით, ანდა თუ მოკავშირეები გადასწყვეტენ ავსტრიას დაუბრუნონ სამხრეთი ტიროლი, მაშინ იტალიელები ამ პროვინციაში სრული ავტონომიით ისარგებლებენ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე ჯერ კიდევ არ არის მიღებული არავითარი გადაწყვეტილება სამხრეთ ტიროლის მომავლის შესახებ. ტრიესტის საკითხისა და სხვა ტერიტორიული პრობლემების მსგავსად, ეს საკითხი უნდა გადაიდოს საბოლოო შეთანხმებამდე.

პარიზში ჩავიდა ესკადრილია „ნორმანდია-ნემანი“

პარიზი, 20 ივნისი. (საკდესი). პარიზის რადიო იუწყება, რომ საფრანგეთის ესკადრილია „ნორმანდია-ნემანი“, რომელიც წარმატებით იბრძოდა აღმოსავლეთის ფრონტზე, დღეს პარიზს ჩამოვიდა. სანამ ბურჟეს აეროდრომზე დაეშვებოდნენ, ესკადრილიის მფრინავებმა ქალაქზე იფრინეს და რამდენიმე წრე გააკეთეს ტრიუმფალური თაღის თავზე. პარიზელებს პირველად ჰქონდათ შესაძლებლობა ენახათ ომის დროს გამოშვებული განთქმული საბჭოთა ავიაგამანადგურებლები, რომლებმაც ესოდენი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და რომლებიც საბჭოთა მთავრობამ „ნორმანდია-ნემანის“ ესკადრილიას აჩუქა.

ნორვეგიის ახალი მთავრობის შედგენა

ლონდონი, 20 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 19 ივნისს ნორვეგიის მეფემ ჰოკონმა წინადადება მისცა ნორვეგიის მუშათა პარტიის ლიდერს ეინერ გერჰარდსენს შეადგინოს ახალი მთავრობა.

მოკავშირეთა ჯარებმა აღმოაჩინეს ჰიტლერელების მიერ ნაძარცვი ახალი ფასეულობანი

ლონდონი, 21 ივნისი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბთან მყოფი რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ ამერიკის ჯარებმა გერმანიაში, რაიხსბანკის რეგენსბურგის განყოფილების სარდაფებში, აღმოაჩინეს ჰიტლერელების მიერ ევროპაში ნაძარცვი ახალი ფასეულობანი. აღმოჩენილი ფასეულობა შედგება ოქროს და ვერცხლის ზოდებისაგან, ფასიანი ქაღალდებისა და ძვირფასი ნივთებისაგან. აღმოჩენილ ნივთებს შორის არის პრაღის რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ოქროს სანაწილე, აგრეთვე რამდენიმე ყუთი ოქროს საიუველირო ნაწარმი, საათები და ძვირფას ლითონთა ზოდები. ნაპოვნი უცხოური ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეადგენენ ავსტრიის ნაციონალური ფონდის მეტ ნაწილს, შეფასებულია სამ მილიარდ ამერიკულ დოლარად. ოქროს და ვერცხლის ზოდებისა და ფულის ღირებულება ნახევარ მილიარდ დოლარს აღემატება. საიუველირო ნაწარმი ჰიტლერელებს წაურთმევიათ სიკვდილის ბანაკებში დაპატიმრებულთათვის.

კუნძულ ოკინავაზე იაპონელთა წინააღმდეგობა შესწყდა

ნიუ-იორკი, 21 ივნისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კუნძულ გუამიდან იტყობინება, ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის ფლოტის სარდალმა ნიმიცმა გამოაცხადა, რომ კუნძულ ოკინავაზე იაპონელთა წინააღმდეგობა შესწყდა.

ომი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 21 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბი იუწყება, რომ კუნძულ ლუსონზე (ფილიპინები) ამერიკის ჯარებმა დაიკავეს იზაბელას პროვინციის მთავარი ქალაქი.

მოკავშირეთა თვითმფრინავები თავს დაესხნენ ბალიკპაპანს (კუნძული ბორნეო).

ვაშინგტონი, 21 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის ფლოტის შტაბი იუწყება, რომ კუნძულ ოკინავაზე ამერიკის ჯარების სწრაფი წინსვლის შედეგად იაპონელები გარშემორტყმული არიან ერთმანეთისაგან იზოლირებულ სამ რაიონში.

19 ივნისს ამერიკის ავიაციამ დაბომბა საკისიმას კუნძულები.

ლექცია

24 ივნისს, დღის 12 საათზე, სანკულტურის სახლში (ამის ქ. № 1) საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ცენტრალური სალექციო ბიურო აწყობს ლექტორ ი. ფურცხვანიძის ლექციას ქართულ ენაზე. თემა: „მზისა და მთვარის დაბნელება“.

შესვლა თავისუფალია.

კონსულტაცია

23 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში მომდინარე პოლიტიკის წრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება ამხ. **პავჩინსკის კონსულტაცია** რუსულ ენაზე.

თემა: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“. (თხუთმეტდღიური მიმოხილვა).

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 23/VI — „ტრავიატა“, 24/VI — დღისით — „დედა და შვილი“ და „ყივჩაღთა ბანაკი“. **რუსთაველის სახელობის** — 23/VI — „ხევისბერი გოჩა“, 24/VI— დღისით — „ხევისბერი გოჩა“, საღამოს — „ერთი ღამის კომედია“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 23/VI — „ბაგრატიონი“, 24/VI— დღისით — „ფიქრის გორა“, საღამოს — „უმზითვო“. **გრიბოედოვის სახელობის**—23/VI — „ტყე“, 24/VI — დღისით და საღამოს — „ტყე“. **სანკულტურის** — 23/VI—„ბრმა მუსიკოსი“, 24/VI—„პატიოსნებისათვის“.

კინოებში

23 ივნისს: რუსთაველის სახელობის, დამკვრელი, კომკავშირელი (საზაფხულო და ზამთრის) — „ოქროს ბილიკი“. **ოქტომბერი** — „მშვენიერი ვასილისა“. **ლუქსემბურგის სახელობის** — „სიმღერა სიყვარულზე“. **სპარტაკი** — „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ“. **26 კომისრის სახელობის** — „კაცი № 217“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

საქართველოს მონადირეთა კავშირის — „მონკავშირის“

გამგეობა აცხადებს აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ-ოსეთის მონადირეთა კავშირების, რაიონული მონადირეთა ამხანაგობებისა და **ცალკე მონადირეთა საყურადღებოდ**, რომ თანახმად საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებისა და საქართველოს მონადირეთა კავშირის რწმუნებულთა III ყრილობის გადაწყვეტილებისა

1945 წლის 1 ივლისიდან 1 აგვისტომდე საქართველოს სსრ მთელს ტერიტორიაზე იწარმოებს **მონადირეთა საყოველთაო ხელახალი რეგისტრაცია და ახალი საწევრო წიგნაკების გაცემა**.

რეგისტრაცია იწარმოებს: თბილისში „მონკავშირის“ გამგეობაში (საბა-სულხანის ქ., № 2) და აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის კავშირებსა და რაიონულ მონადირეთა ამხანაგობების გამგეობებში.

ის მონადირეები და სანადირო იარაღის პატრონები, რომლებიც აღნიშნულ ვადაში არ გატარდებიან რეგისტრაციაში, ჩაითვლებიან მონადირეთა კავშირის წევრობიდან მექანიკურად გარიცხულად და მათ შესახებ ეცნობება მილიციის ორგანოებს სანადირო იარაღის ჩამოსართმევად.

„მონკავშირის“ გამგეობა.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 24/VI, 12 ს. ვაკის სასაფლაოზე პანთეონში დანიშნულია მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ **სოლომონ მიხეილის-ძე ჩოლოყაშვილის** პანაშვიდი.

საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა და სასწავლო საწარმოო კომბინატის მუშაკები იუწყებიან სედას მამის **ამბარცუმ ბეჟანიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 23/VI, 6 ს. ხოდაშენის, 7.

შვილები შალვა, ვალიკო ლეჟავები ოჯახებით იუწყებიან **მარიამ ანდრიას-ასულ ლეჟავას** გარდაცვალებას.

შვილები ლილი, ნელი, მედეა, ნაზიკო, მურმანი, მელი ნადირა, თამარ ნიშნიანიძე, სიძეები ივანე ბერიძე, გაიოზ აბულაძე იუწყებიან **ელენე სერგოს-ასულ მზეიძე-ნიშნიანიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე სოფიო, შვილები თინა, ზიჟიკო, სიძე ბორის, შვილიშვილი ჯონიკო იუწყებიან, რომ 24/VI, 6 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **სერგო ლუარსაბის-ძე ომიაძის** პანაშვიდი.

მშობლები ჩაქო, ილუშა, ძმა ნიკოლოზ ფოფილაკტოსები, ბებია მინადორა, ბიძაშვილი თამილა გაბესკირიები იუწყებიან **ლეილა ფოფილაკტოსის** გარდაცვალებას.

იოსებ ხორშელი და პავლე ყუფარაძე ოჯახებით იუწყებიან **დისპინე კანკავას** გარდაცვალებას.

მშობლები თამარ, პეტრე, ბიძები კონსტანტინე, მიშა, სერგო კაკაბაძეები ცოლშვილით, დეიდები ნინო, მარუსა იუწყებიან **მერი (სულიკო) პარუმბეგოვის** გარდაცვალებას.

მეუღლე სერაფიმა ტყავაძე-ჯანჯღავაძისა იუწყება, რომ 24/VI, 2 საათზე, ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანჯღავაძის** პანაშვიდი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—1 06 88 განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის—3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომშვებისა—3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორისა—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 21.830 უე 00348